ახალი განათლება

30.01-05.02.2020

№2 (876) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2

ლალი ჯელაძე

„ათეულთა კლუბის“ საქველმოქმედო ფორუმი – უშურველი პროფესიული თანადგომა

ქუთაისის №33 საჯარო სკოლამ, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეულის ყლუბის" პედაგოგების მონაწილეობით და „განათლების ალიანსის" მხარდაჭერით, მასწავლებელთა საქველმოქმედო ფორუმს უმასპინძლა.



3

ლალი თვალაბეიშვილი

„ახალი სკოლის მოდელი“ განხორციელების მასშტაბურ ეტაპზე გადადის

სკოლაში მოსწავლემ ფუნდამენტური ცოდნა უნდა მიიღოს, სასწავლო მასალა იმდენად სილრმისეულად და ასოციაციურად უნდა გაითავისოს, რომ მისი კრიტიკულად განაზოგადება, შემოქმედებითად გააზრება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება შეძლოს.



პროექტი გეგმავს

- *საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.*
- *საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლის მომზადების ახალი პროგრამების განვითარებას, რაც შემდგომში უზრუნველყოფს სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.*
- *ამერიკული მხარის ინიციატივით, ასევე, პროექტი „ინგლისური ენის სწავლების ასისტენტი" **(ETA)** განხორციელდება, რომლის მიზანია რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა. პროექტი გეგმავს ინგლისური ენის სწავლების და პრაქტიკის საათებში დახმარებას, თანამასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და ინგლისურის სწავლების პროგრამის შექმნას უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის. შეთანხმებას ხელი გაზაფხულზე მოეწერება და ის განათლების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობის **Fulbright**-ის ფარგლებში განხორციელდება.*
- *პროექტს, აშშ-საქართველოს მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო **(USAID)** განახორციელებს.*

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

„ათეულთა კლუბის“ საქველმოქმედო ფორუმი – უმურველი პროფესიული თანადგომა

ლალი ჯელაძე

18 იანვარს, ქუთაისის №33 საჯარო სკოლამ, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეულის კლუბის“ პედაგოგების მონაწილეობით და „განათლების კოალიციის“ მხარდაჭერით, მასწავლებელთა საქველმოქმედო ფორუმს უმასპინძლა. ათეულის კლუბის წევრები, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ინტენსიურად, აწყობენ აქტივობებს. ამ დღესაც, ათეულთა კლუბის 13 წევრი, მასპინძელი სკოლის დირექტორისა და ამავე კლუბის წევრის, მარინა ისკაკოვას იდეის გარშემო, კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზანმა გააერთიანა. თუმცა, სხვა აქტივობებისგან განსხვავებით, ამ დღეს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბაბიც ჰქონდა – 2017 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტის, ნინო აბულაძის თანადგომა. ფორუმმა საქველმოქმედო ხასიათი სწორედ მათი კოლეგის მხარდაჭერის გამო მიიღო.

განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე **ირინა ხანთაძე** ამბობს, რომ: *„ასეთი ინიციატივები ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიის განვითარებისთვის და ზოგადად მასწავლებლის პროფესიის, როგორც პროფესიული ერთობის, გაძლიერებისთვის. ქუთაისის 33-ე სკოლაში ჩვენ ვნახეთ თავის საქმით აღტაცებული ადამიანები, რომლებიც უშურველად უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას. მადლობა 33-ე სკოლას ამ არაჩვეულებრივი ინიციატივისთვის.“*

საქველმოქმედო ფორუმის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე იმერეთის რეგიონის კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს ათეულთა კლუბის წევრებმა: უტა კილასონიამ, ლაურა გოტიაშვილმა, მანანა კაპეტივაძემ, ლადო აფხაზავამ, ნინო ჭიჭინაძემ, თემურ სუყაშვილმა, ხათუნა გოგალაძემ, თამარ გოგოლაძემ, თამარ ადამიამ, გიორგი ჭაუჭიძემ, ქეთინო მერაბიშვილმა, მელორ ცქვიტავამ, დაჩი ნანობაშვილმა.

მარინა ისკაკოვა ამბობს, რომ „განათლების კოალიციის“ მხარდაჭერით და მისი ინიციატივით, სკოლაში „ათეულთა კლუბის“ 13 წევრი მასწავლებელი ჩავიდა და სკოლის მოსწავლეებთან სამოდელო გაკვეთილები და მასწავლებლებისთვის ვორქშოპები ჩაატარეს. აქტივობებს, წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, ქალაქის სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები დაესწრნენ. პედაგოგები, რეგისტრაციის პროცესშივე, ირჩევდნენ მათთვის სასურველ საგანს და მასწავლებელს, რომლის გაკვეთილსაც დაესწრებოდნენ. *„მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენმა დაანონსებულმა ღონისძიებამ. ჯამში, სულ, 120 პედაგოგი დარეგისტრირდა.* – ამბობს მარინა ისკაკოვა, – *ერთი დღის განმავლობაში, 12 სამოდელო გაკვეთილი სამ სესიად მიმდინარეობდა. თითოეულ მასწავლებელს შეეძლო ერთი სესიიდან ერთ სასურველ გაკვეთილზე დასწრება. ბუნებრივია, ბავშვებიც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები, რომ მათ გაკვეთილს სტუმარი მასწავლებელი ჩაუტარებდა. აქტივობაში თითქმის ყველა კლასი ჩაერთო, პირველი, მეხუთე და მეთორმეტე კლასების გარდა.*

მართალია, ღონისძიება საქველმოქმედო დღედ გამოვაცხადეთ, მაგრამ მსურველებს, რეგისტრაციის დროს, ნებაყოფლობით შეეძლოთ თანხის გადმორიცხვა. ძალიან მიხარია, რომ ბევრი მსურველი აღმოჩნდა და გარკვეული რაოდენობის თანხაც შეგროვდა.

რაც შეეხება დარეგისტრირებულ მასწავლებლებს, ძირითადად, რასაკვირველია, ქუთაისის სკოლების პედაგოგები იყვნენ. თავდაპირველად, რეგისტრაცია მეც ასე დავაანონსე, მაგრამ ახლომდებარე რაიონების სკოლის მასწავლებლებიც აღმოჩნდნენ მონაწილეობის მსურველები, ამიტომ სტუმრები თერჯოლის, ხაშურის და წყალტუბოს რაიონების სკოლებიდანაც მყავდნენ. მასწავლებლების მხრიდან გამოხატული დაინტერესებით, რეალურად, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მსგავსი აქტივობების საჭიროება. სურვილი მაქვს, ასეთი ტიპის ინიციატივები სხვა რეგიონებშიც გადავიტანოთ და მსგავსი ღონისძიებები ჩავატაროთ. ათეულის კლუბის წევრებს გვქონდა ამაზე საუბარი და, თითქმის, ყველა თანახმაა. იმედია, ახლა სხვა რაიონებშიც დავიწყებთ. მართლაც ძალიან სასარგებლოა, როცა ასეთი ღია ტიპის გაკვეთილებით ვუზიარებთ კოლეგებს პრაქტიკულ გამოცდილებას. მეორე მხრივ, საინტერესო იმ კუთხითაც არის, ვაჩვენოთ მასწავლებლებს, თუ როგორ ადვილად შეიძლება შეხვიდე კონტაქტში უცხო ბავშვებთან და მათთვის სასურველი სასწავლო გარემო შექმნა, რასაც ათეულის წევრებმა მართლაც საოცრად გაართვეს თავი. ამაში, ალბათ, ნებისმიერი კოლეგა დამეთანხმება. ბავშვებიც დიდი ინტერესით შეხვდნენ ამ იდეას. მთელი სკოლა მიხდის მადლობას იმისთვის, რომ მათ საშუალება მივეცი, გაეცნოთ საუკეთესო მასწავლებლები და საკუთარი თვალით ენახათ, უშუალოდ გაკვეთილზე როგორ ახორციელებენ მეთოდებს, რომლის გამოც ისინი ქვეყანამ საუკეთესო მასწავლებლებად აღიარა. 120-მა პედაგოგმა პრაქტიკაში ნახა კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ სამუშაოებზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რომელსაც საუკეთესო პედაგოგები უძღვებოდნენ.

ერთდღიანი აქტივობა იმიტომ დაიგეგმა, რომ მრავალდღიან ღონისძიებას სხვა მოთხოვნები აქვს, რომლის საჭიროებასაც სკოლა ვერ უზრუნველყოფდა. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის მერიას, რომელმაც სტუმრების კვების ხარჯი თავის თავზე აიღო და „განათლების კოალიციას“, რომელმაც მათი ტრანსპორტირება უზრუნველყო. იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია ასეთი ტიპის პრაქტიკის გაზიარებამ მასწავლებლებში, რომ მჯერა, მომავალში ის უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.“

გიორგი ჭაუჭიძე, მარნეულის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელი: *„ძალიან მიხარია და მომწონს ათეულთა კლუბის წევრობა, გარდა სხვა სიკეთისა, ერთ-ერთი ესეც არის, რომ ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა აქტივობები ერთობლივად დავგეგმოთ და განვახორციელოთ. 33-ე საჯარო სკოლაში ჩატარებულ ფორუმში სიამოვნებით ჩავერთე. ერთი მხრივ, ჩავატარე გაკვეთილი მესამეკლასელ მოსწავლეებთან და, მეორე მხრივ, მასწავლებლებთან სამუშაო ფორმატის შეხვედრა გავმართე.*

რაც შეეხება გაკვეთილს, კითხვაზე ორიენტირებულ გაკვეთილზე ჩემ მიერ შექმნილი ტექსტი გამოვიყენე – „ბოროტი მარტორქა“. ტექსტის საფუძველზე, დავამზადე სლაიდპრეზენტაცია, თავის ილუსტრაციებითა და სავარჯიშოებით. თავისთავად, გაკვეთილს კოლეგები დაესწრნენ, დასრულების შემდეგ მათთან სამუშაო პროცესი კიდევ გაგრძელდა. ერთი გაკვეთილი პირობითი ნათქვამია, ეს უფრო აქტივობა იყო, რომელიც, დაახლოებით, ორი გაკვეთილის დროის ხანგრძლივობით გაგრძელდა.

მთავარი აქცენტები ჩემს გაკვეთილზე მიმართული იყო იმისკენ, თუ როგორ გავხადოთ ბავშვებისთვის საინტერესო კითხვის გაკვეთილები, როგორ ჩავრთოთ ისინი მაქსიმალურად ამ პროცესში და როგორ განვუვითაროთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

ერთ-ერთი სასიამოვნო ფაქტი, როგორც მასწავლებლისთვის, 33-ე სკოლის მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვა და ის საინტერესო მსჯელობა და მოსაზრებები იყო, რომელიც ქუთაისელი მოსწავლეებისგან მოვისმინე. მე ვიტყოდი, რომ ეს ბავშვები გამოირჩეოდნენ იდეებითა და მოსაზრებებით. ერთი მხრივ, ძალიან ნასიამოვნები დავრჩი და, მეორე მხრივ, გაოცებულიც. დაგეგმილი ღონისძიება რომ ძალიან პროდუქტიული და სინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის, ეს მათი მრავალრიცხოვნობითაც დადასტურდა, ძალიან ბევრი პედაგოგი დაინტერესდა აქტივობით. მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ასეთი შეხვედრები უფრო ხშირი გახდეს. პირადად ჩემთვისაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა აქტივობა, რადგან ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილის მათი მხრიდან შეფასება – უკუკავშირი ჩემი პროფესიული განვითარებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

რესურსს, რომელიც გაკვეთილზე გამოვიყენე, გარკვეული დროის განმავლობაში ვამზადებდი, ჩემი ტექსტი შექმნილია პროექტ „ჯიპრაიდის“ ფარგლებში, მაგრამ სლაიდპრეზენტაცია ამ შეხვედრისთვის დავამზადე. ამდენად, ასე ვთქვათ, პრაქტიკაში პირველად გამოვცადე, ამიტომ, მართლა საინტერესო იყო ჩემთვისაც, რადგან ამ ბავშვებთან საუბრისას უფრო სხვა მხარე გამოიკვეთა. ისეთმა აქცენტებმა წამოიწია წინ, სიმართლე გითხრათ, არც ველოდი. აქედან გამომდინარე, სხვაგვარად შევხედე ჩემს ტექსტსაც და რესურსსაც, რომელიც ამ დღისთვის მოვამზადე. ერთი სიტყვით – ორმხრივად სასარგებლო აქტივობა განვახორციელეთ – ამ აქტივობის ფარგლებში, ჩემმა რესურსმა ერთგვარი გამოცდა გაიარა.“

ქეთევან მერაბაშვილი, სპს „ნუნუ ბეიტრიშვილი-პრომეთეს“ სკოლა-ლიცეუმის გეოგრაფიის მასწავლებელი: *„ქუთაისის 33-ე სკოლის დირექტორმა, მარინა ისკაკოვამ, რომელიც თვითონაც ათეულთა კლუბის წევრია, შემოგვთავაზა, მის სკოლაში ჩაგვეტარებინა იმერეთის რეგიონის მასწავლებლებისთვის მასტერკლასები. რასაკვირველია, ჩვენ ამ შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდით. აქციის ფარგლებში, ბევრი საგანი მოვიცავით – ქართული, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია ინგლისური... ჩვენი კლუბის წევრმა მასწავლებლებმა ჩავატარეთ გაკვეთილები.*

სკოლაში, საგნების მიხედვით, წინასწარ დარეგისტრირებული მასწავლებლები დაგვხვდნენ, მაგალითად, ჩემს გაკვეთილზე 8 პედაგოგი იყო დარეგისტრირებული, ასევე მოსწავლეები (8-10), რომლებთანაც გაკვეთილებს ჩავატარებდით. გაკვეთილიც წინასწარ დავგეგმეთ და შევთანხმეთ იმის მიხედვით, რომელი სახელმძღვანელოთი სწავლობენ იქ მოსწავლეები ან რა თემას გადიოდნენ იმ დროისთვის. ჩემს გაკვეთილზე, სამაგიდო თამაშების გამოყენებით, აფრიკის კონტინენტი შევაჯამეთ. თამაშებით გაკვეთილის ჩატარება გამიზნულად იმიტომ ავირჩიე, რომ ჩემმა მოსწავლეებმა, ამ არდადეგების პერიოდში, სახლში სამაგიდო თამაშები დაამზადეს და, წინა დღეებში, ჩემს კლასშიც, სწორედ მათი გამოყენებით, იგივე თემა გავიარეთ. თვითონ შემირჩიეს ქუთაისის სკოლაში წასაღები რესურსიც, რომელიც ვიზუალურადაც უკეთესი იყო და ინსტრუქციაც სწორად ჰქონდა ჩამოყალიბებული. სულ ხუთი თამაში შეირჩა, რადგან ვიცოდი, რომ გაკვეთილი 10 მოსწავლესთან უნდა ჩამეტარებინა და მათ წყვილებში უნდა ეთამაშათ. თანაც, თამაშით გაკვეთილის ჩატარება იმანაც გადამაწყვეტინა, რომ არდადეგების შემდეგი პერიოდი გავითვალისწინე და აქტივობის დღეც – შაბათი. ამიტომ, არ მინდოდა მოსწავლეები გადამეტვირთა, მინდოდა, ჩვენი შეხვედრა უფრო ხალისიანი ყოფილიყო. მოსწავლეებმა პრეზენტაციაც გააკეთეს და ამით, ერთგვარად, შეაჯამეს აქტივობა. 8 მასწავლებელი აკვირდებოდა საგაკვეთილო პროცესს. გაკვეთილის დასრულების შემდეგ მათგან ბევრი შეკითხვა წამოვიდა, რა აქტივობებს ვიყენებ, სამაგიდო თამაშების გარდა, გაკვეთილებზე. ძალიან დაინტერესდნენ ჩემი საველე გაკვეთილებით. შევეცადე, დეტალურად ამეხსნა მათთვის, როგორ ვატარებთ ამ ტიპის გაკვეთილებს და როგორ ვწერთ საველე დღიურებს. ასევე, მათ გავაცანი ახალი რესურსის – ელექტრონული რუკების (purposegames.com) გამოყენება, რაც მოსწავლეებს ეხმარება თამაშით დაისწავლონ გეოგრაფიული

პროფესიული განვითარება

ნომენკლატურა. მართლა ძალიან საქმიანი და მეგობრული შეხვედრა გამოგვივიდა და, რაც მთავარია, შედეგზე გამსვლელი იმით, რომ წარმატებით შევძელით აქტივობის ორივე მიზნის შესრულება – კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებაც და ნინო მასწავლებლის დახმარებაც.

ფორუმის მონაწილე მასწავლებლები ძალიან კმაყოფილები იყვნენ და ამბობდნენ, რომ მსგავს პრაქტიკებს თავიანთ საგაკვეთილო პროცესშიც გამოიყენებენ, იქ ჩატანილი რესურსი პედაგოგებს ნიმუშად დავუტოვე, რომ მსგავსი თავად შექმნან და დანერგონ გაკვეთილებზე, ასევე, გამოიყენებენ საიტსაც და აწარმოებენ საველე დღიურებსაც.“

ხათუნა გოგალაძე, ქიმიის დოქტორი, ბრიტანულ-ქართული აკადემიის ბიოლოგიის წამყვანი მასწავლებელი: *„ღონისძიების მიზანი იყო, ათეულთა კლუბის წევრებს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება გაეზიარებინათ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისთვის. პრაქტიკის გაზიარებამ განსაკუთრებული სახე მიიღო, რადგან ცოცხალი გაკვეთილები ჩატარდა. მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კლუბის წევრები საგაკვეთილო პროცესში განსხვავებულ სწავლების მეთოდებს იყენებენ, რაც პროცესს მეტად საინტერესოს ხდის, მოსწავლეები იღრმავებენ არა მარტო საგნობრივ კომპეტენციებს, არამედ იუმჯობესებენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს. თავისთავად, ამ მხრივაც, ძალიან საინტერესო იყო ღონისძიება, რადგან კლუბის წევრებმა კოლეგებს განსხვავებული სწავლების მეთოდების გამოყენება შევთავაზეთ. მე პირადად, კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად, მედიანიგნიერების გაკვეთილი ჩავატარე – ამნიოცენტეზი მეცხრე კლასელთათვის. გაკვეთილის მიზანი იყო, მოსწავლეებს შეეფასებინათ მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტირების მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა 21-ე საუკუნეში. მათ უნდა შესძლებოდათ მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი. გაკვეთილის დასასრულს კი, უნდა შეეფასებინათ ისტორიული პასაჟი – სპარტანული აღზრდის მეთოდი დაეკავშირებინათ გაკვეთილის ძირითად თემასთან და, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, დისკუსიების მსვლელობისას, მოეძებნათ არგუმენტი. მოსწავლეებს გაკვეთილი უნდა შეეჯამებინათ, ჯგუფებში საბოლოო პოსტერის წარდგენით. ვთვლი, რომ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პროექტი ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, არა მარტო მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის, არამედ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის, რასაც „განათლების კოალიცია“ ყოველთვის მხარს უჭერს.“*

რეფორმის ფარგლებში

„ახალი სკოლის მოდელი“ განხორციელების მასშტაბურ ეტაპზე გადადის

ლალი თვალაბეიშვილი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ეკა დგებუაძემ**, ზოგადი განათლების სისტემური განვითარების ხედვის ჩარჩო დოკუმენტისა და „ახალი სკოლის მოდელის“ განხორციელების შემდეგი ეტაპის პრეზენტაცია გამართა. ახალ ეტაპზე, 2020-21 სასწავლო წლიდან, „ახალი სკოლის მოდელი“, საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლაში შევა და იმპლემენტაციის პროცესი 2024 წლისათვის დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. იგი დაიწყო 2019 წელს და მისი ძირითადი მიზანია საქართველოს სკოლებში მიმდინარე სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება, რაც გულისხმობს სასკოლო ცხოვრების რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებას და ამ გზით სასწავლო პროცესის გამოცოცხლებას, საკლასო ოთახის გადაქცევას მოსწავლეთა შემოქმედებითი და შემეცნებითი ძალების განვითარების სარბიელად, სასკოლო შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობას, თანამშრომლობითი გუნდური მუშაობის კულტურის დანერგვას.

პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, 165 საჯარო სკოლის პირველ-მეოთხე კლასებში. მისი ბენეფიციარია 34 414 მოსწავლე და 3096 მასწავლებელი. პროექტის ფარგლებში, ხორციელდება ინტერვენციები შემდეგი მიმართულებებით:

✔ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე ორიენტირებული სასკოლო კურიკულუმების განვითარება;

✔ ტექნოლოგიების სწავლა-სწავლების პროცესში ინტეგრირება;

✔ სკოლებში სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე ორიენტირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

✔ მხარდაჭერაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ განხორციელების პირველი ეტაპი, რომელიც 2020 წლის შემოდგომამდე მიმდინარეობს, ექსპერტთა ჩართულობით გაანალიზდეს. მოსამზადებელი ეტაპი „ახალი სკოლის მოდელის“ ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას, პროექტის იმპლემენტაციისათვის საჭირო რესურსებისა და მეთოდოლოგიის დახვეწასა და მომავალი გაფართოებისთვის მზადებას გულისხმობს. ეს არის ის ფუნდამენტი, რასაც ახალი სასწავლო წლიდან უფრო მასშტაბური ეტაპი უნდა დაეფუძნოს. გარდა ამისა, მინისტრის მოადგილის თქმით, გაიზრდება პროექტში ჩართული მოსწავლეების რაოდენობაც. მისივე ინფორმაციით, თუკი აქამდე „ახალი სკოლის მოდელი“ მხოლოდ დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეეხებოდა, 2020 წლის თებერვლიდან პროცესში თბილისის 22 სკოლის V-IX კლასების მოსწავლეები და პედაგოგებიც ჩაერთვებიან.

„იმისათვის, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვა მთელი საქართველოს მასშტაბით ეფექტურად განხორციელდეს, დაგეგმილია პროცესის დეცენტრალიზება რესურსცენტრების ჩართულობით. კერძოდ, შეიქმნება ექსპერტების ჯგუფები რეგიონების მიხედვით. 14 საგნობრივი ექსპერტისაგან შემდგარი 23 სამუშაო ჯგუფი რესურსცენტრების ბაზაზე იმუშავებს და მასში, გარდა საგნობრივი ექსპერტებისა, ინკლუზიური განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებიც შევლენ. ექსპერტები, რომელთა შერჩევა კონკურსის წესით, გასაუბრებისა და პრაქტიკული გამოცდის ეტაპების გავლის საფუძველზე, მოხდება, სკოლებში თანაშემწეებთან ერთად იმუშავებენ.“ – ამბობს ეკა დგებუაძე.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო ზოგადი განათლების სისტემური განვითარების ხედვის ჩარჩო დოკუმენტს ქმნის, რომელიც საბოლოო სახეს დარგობრივი ექსპერტებისაგან შემდგარი 12 ჯგუფის მუშაობის შედეგად მიიღებს. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი იმ გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება, რომელიც სამინისტრომ 165 სკოლაში „ახალი სკოლის მოდელის“ განხორციელების შედეგად დააგროვა. შესაბამისად, განათლების რეფორმის კონცეფცია საკლასო ოთახიდან იწყება და მისი ჩამოყალიბების პროცესში ჩართული არიან როგორც საჯარო სკოლისა და რესურსცენტრების, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

მოსწავლეზე ორიენტირებული „ახალი სკოლის მოდელის“ იმპლემენტაცია ცოცხალი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები, პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და დარგის ექსპერტები. სკოლაში მოსწავლემ ფუნდამენტური ცოდნა უნდა მიიღოს, სასწავლო მასალა იმდენად სიღრმისეულად და არსობრივად უნდა გაითავისოს, რომ მისი კრიტიკულად გაანალიზება, შემოქმედებითად გააზრება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება შეძლოს. სკოლის გარემო კი, პიროვნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, მზრუნველი, ჰარმონიული, თანამშრომლობითი და უსაფრთხო, რაც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს.

ეკა დგებუაძე ამბობს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიამ, რომელსაც სამინისტრო ავითარებს, სისტემური სახე უნდა მიიღოს. ახალი სკოლის მოდელის პილოტირების დაწყებამდე, არსებობდა ყველა მოსწავლეზე ორიენტირებული ერთი მიდგომა და მეთოდოლოგია, ახალი მეთოდოლოგიის ფარგლებში, შესაძლებელია, რომ, პირველ რიგში, *„ვიცოდეთ თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები, საჭიროებები და ისე დავგეგმოთ თითოეული თემა, რომელსაც მასწავლებელი გაკვეთილზე შეიტანს, რომ ეს მასალა ყველა მოსწავლისთვის თანაბრად გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს. ამ მიმართულებით, ჩვენ დავიწყეთ საუბარი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განათლების ექსპერტებთან, ასევე, უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, რომ დღეს არსებული ახალი სკოლის მოდელი, რომელმაც პილოტირება გაიარა, უფრო სისტემური გახდეს“.*

განათლების ექსპერტი **რუსუდან თევზაძე** ამ პროცესს აფასებს, როგორც უმთავრესი დოკუმენტის – ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელიც ყველა სკოლისთვის ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტია და რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესი, დანერგვისა და განხორციელების მექანიზმების მრავალფეროვნების შექმნის მცდელობას.

„ახალი სკოლის მოდელი“ სკოლების შეფასებასაც გულისხმობს, სასკოლო კულტურისა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მიხედვით. შედეგად, განისაზღვრება სკოლების ინდივიდუალური პროფილები, რომლებშიც აისახება მათი ძლიერი და შედარებით სუსტი მხარეები. მსგავსი ტიპის შეფასებები სკოლას რეალური სურათის დანახვისა და არსებული გამოწვევების დასაძლევად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის საშუალებას აძლევს,“ – ნათქვამია პრესრელიზში, რომელიც განათლების სამინისტრომ გაავრცელა.

იმავე რელიზში ვკითხულობთ, რომ პრეზენტაციას განათლების სპეციალისტები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

განათლების ექსპერტის, **სიმონ ჯანაშიას** აზრით, კარგია, რომ სამინისტრო ცდილობს შეხვდეს განათლებაში ჩართულ ადამიანებს. *„დღეს სამინისტრო შეეცადა, რომ არა მხოლოდ ანგარიში წარუდგინოს მათ, არამედ შესთავაზოს თანამშრომლობა აქტუალური საკითხების განხილვისას“.*

გაუგებარია, რატომ ვერ მოხვდნენ დაინტერესებულ პირთა ჩამონათვალში მედიის წარმომადგენლები და რატომ იყო პრეზენტაცია მედიისთვის დახურული. იმედია, სამინისტრო კიდევ არაერთ შეხვედრას გამართავს, რომელსაც მედიის წარმომადგენლებსაც დაასწრებენ და ახალ გეგმებთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვაზე გასცემს ამომწურავ პასუხებს.

თვალსაზრისი

ცოდნისა და რწმენის ერთიანობისათვის

პიროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მის შეგნებულ აქტიურობას მიიჩნევენ, რადგან ადამიანი უბრალოდ კი არ შეიმეცნებს სამყაროს, არამედ კიდევაც გარდაქმნის მას. ნებისმიერ ადამიანს ცხოვრების გზაზე ბევრი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა უხდება. ამიტომ აღზრდის ძირითადი ამოცანაა მოსწავლე ახალგაზრდობაში სიძნელეებთან ბრძოლის უნარის გამომუშავება, იმ თვისებების ჩამოყალიბება, რაც ამ სიძნელეთა დაძლევისთვისაა საჭირო. ამ საქმეში, ოჯახთან ერთად, გადამწყვეტ როლს სკოლა, კერძოდ, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ასრულებს, რადგან სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ადამიანში ზნეობრივი თვისებები.

იმისათვის, რომ ბავშვი იყოს აქტიური, ნერგავდეს სიკეთეს, საჭიროა გარკვეული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც, ყოველგვარი ცოდნა მისი შესრულების, პრაქტიკაში გამოყენების გარანტიას როდი იძლევა. *„ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა,* – წერდა დიდი რუსი მწერალი და პედაგოგი ლევ ტოლსტოი, – *როცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით“.*

ამრიგად, დაზეპირებული ცოდნა არ არის ნამდვილი, შეგნებული, გააზრებული ცოდნა. მაგალითად, მოსწავლემ ძალზე კარგად იცის, რომ გაკვეთილზე არ უნდა ილაპარაკოს, მაგრამ მაინც ჩურჩულებს; იცის, უფროსების პატივისცემაა საჭირო, მაგრამ ჯიუტობს, უხეშობს; იცის, მოხუცებულს ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგრამ არ უთმობს, თითქოს ვერ ხედავს და ფანჯარაში იცქირება. ასე ხდება იმიტომ, რომ ცოდნა მას შეგნებულად არ შეუთვისებია, არ შეუსისხლხორცებია. ცოდნა აქტიურ მოქმედებაში მხოლოდ მაშინ გადადის, როცა შეგნებულად შეთვისებული, ღრმად გააზრებული და რწმენად ქცეულია, რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია. ცოდნისა და რწმენის გაიგივება არ შეიძლება, მათ შორის დიდი განსხვავებაა. ყოველი რწმენა ცოდნაა, მაგრამ ყოველი ცოდნა რწმენა არ არის.

ადამიანებში რწმენის გამომუშავება მათ ჭეშმარიტ პიროვნებად, კაცურ კაცად ჩამოყალიბებას ნიშნავს. თუ ცოდნა რწმენადაა ქცეული, მისი უარყოფა შეუძლებელია, მას ვერსად გაექცევი. საკმარისი იყო ჯორდანო ბრუნოს ეთქვა, დედამინა არ ბრუნავს, შევცდი, მაპატიეთო ან ზოია კოსმოდემიანსკაიას გაეცა ამხანაგები და ისინი სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, რადგან ღრმად სწამდათ ის, რისთვისაც იბრძოდნენ.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოსწავლეებს ცოდნა რწმენად ვუქციოთ, გამოვუმუშაოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობის ჩვევები? ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი ვარჯიში, მაგრამ არა მექანიკური. ზნეობრივ აღზრდაში უნდა ვერიდოთ როგორც ინტელექტუალიზმისაკენ გადახრას, ისე მეორე უკიდურესობას – მექანიკურ წვრთნას. როგორც ერთს, ისე მეორეს შეუძლია მიგვიყვანოს სიტყვისა და საქმის ერთიანობის დარღვევამდე. ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ საკმარისი არაა მოსწავლე მარტო თვითონ იყოს წესიერი, შრომისმოყვარე, აქტიური. ჩვენ ვზრდით ადამიანთა საერთო ცხოვრების ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებებს. ზნეობრივი აღზრდის ამოცანა მარტო ბოროტების წინააღმდეგ იმუნიტეტის შემუშავება კი არ არის, არამედ მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის თვისებების ჩამოყალიბებაცაა. ეს კარგად ესმოდა ჩვენი დროის დიდ უკრაინელ პედაგოგს ვასილ სუხომლინსკის. ყველაზე დიდ მანკიერებად ადამიანში მას *„თვალებზე ხელის მიფარება“* (ი. ჭავჭავაძე), გულგრილობა მიაჩნდა. *„საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება,“* – აღნიშნავდა სახელგანთქმული პედაგოგი და მოუწოდებდა მასწავლებლებს, თავიანთი მოსწავლეები უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებად აღეზარდათ. *„ჩემს საყვარელ მოსწავლეებად მიმაჩნია არა გამგონი და უსიტყვონი, რომლებიც მზად არიან ყველაფერს დაეთანხმონ და ყველაფერი შეასრულონ,* – წერდა იგი, – *არამედ თავისნება, ნებისყოფიანები, მოუსვენარი, ზოგჯერ ოინბაზები და ცელქები, მაგრამ ისეთები, რომლებიც ჯანყდებიან ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მზად არიან თავი გასწირონ, მაგრამ დაიცვან პრინციპები, რომლებიც მათი პიროვნებისაგან განუყოფელი გახდა“.*

ამ სულისკვეთებით ზრდიდა ვ. სუხომლინსკი არა მარტო თავის მოსწავლეებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ შვილებს. სხვა მრავალ ფაქტთან ერთად, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი წერილი ვაჟიშვილისადმი. ამ უკანასკნელმა აცნობა მამას, რომ კოლმეურნეობაში ათ ტონამდე ვაშლი ღორებს შეაჭამეს, ხოლო სამი ჰექტარი პამიდორი მოუკრეფავი დარჩა და თავმჯდომარემ, კვალის დასაფარავად, ნაკვეთი ტრაქტორებით გადაახნევინა.

„შენ მწერ, დილით ის ნაკვეთი გადახნული რომ დავინახე, მკერდიდან გული კინაღამ ამომივარდაო... მერე რა? რა მოუვიდა შენს გულს? დაგიმშვიდდა, როგორც ჩანს, და წყნარად გიცემს?

ცუდია, ძალიან ცუდი... საკუთარ თავში სინდისის ხმა თუ ჩაახშე, ძალზე სახიფათოა. თუკი შენს თავს აიძულებ ერთ უსამართლობას წაუყრუო, მალე არაფერს აღარ მიაქცევ ყურადღებას... რაკი დარწმუნებული ხარ, რომ შენს თვალწინ ბოროტება ხდება, დაე, შენი გული ყვიროდეს ამაზე; იბრძოლე ბოროტების წინააღმდეგ, იბრძოლე ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის“.

ეს აზრი კარგად აქვს გამოხატული ასევე ილია ჭავჭავაძეს მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ – ლუარსაბი ევედრება ღმერთს, შვილი მისცეს: *„წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, რაზედ ვარისხებ ღმერთსა,“* – უკვირს ლუარსაბს. მას არ ესმის, რომ ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნავს, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება, ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ამიტომაც დიდი ილია ღმერთის პირით ასეთ პასუხს სცემს ლუარსაბს: *„მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, – ესეც კარგია... მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია? შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი, სადილზე რომ კარგად გამოძღებოდი, იკითხავდი: „ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?“ – ეს იყო შენი მთავარი საფიქრალი და სადარდებელიო,“* – მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბსა და მისთანებს.

ასეთების წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში იარაღს კი არ უნდა ვიყენებდეთ, სისხლს კი არ უნდა ვღვრიდეთ, არამედ სიბრძნესა და სულგრძელობას უნდა ვიშველიებდეთ, გვასწავლის დიდი ილია, რამეთუ შურიანი, ბოროტი კაცი ისეთივე საბრალოა, როგორც ფიზიკურად მახინჯი, იგი სულიერად მახინჯია.

ასე და მხოლოდ ასე უნდა ჩააქროს კაცთმოყვარე ადამიანმა ავისმზრახველთა გულში დანთებული სამზაკვრო ცეცხლი და დააშროს „ცოდვის გუბე“. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის წინსვლა-განვითარება შეუძლებელია.

აღზრდა პროცესია, მოძრაობაა, მაგრამ მოძრაობა ყოველთვის პროგრესული არაა. ერთ შემთხვევაში იგი აღმავალი გზით მიდის, მეორეში – დაღმავალით. ქცევის ის მხარე, რასაც „პიროვნების პოზიცია“, „აქტიურობა“, „დამოკიდებულება“, „მიმართება“ ეწოდება, ქცევის მოტივით განისაზღვრება. ხშირად ერთი და იგივე ქცევა სხვადასხვა ფსიქოლოგიური ბუნებისაა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოტივით სრულდება იგი. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გაირკვეს მოსწავლის ქცევის მოტივი. მაგალითად, მოსწავლემ მასწავლებელს აცნობა, რომ თენგიზი საშინაო დავალებას ნოდარისგან იწერს. სიკეთეა თუ არა მისი მოქმედება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მანამ, სანამ არ გაირკვევა მოსწავლის მიერ ჩადენილი ქცევის მოტივი. ერთია, თუ მან მასწავლებელს ამხანაგის უწესო მოქმედების შესახებ აცნობა მისი დასჯის მიზნით, ხოლო სულ სხვაა, თუ იგი ჩაიდინა ამხანაგის გამოსწორების ან მთელ კლასში ანალოგიური შემთხვევების აღმოფხვრის მოტივით.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე აქტიურობაა. ამიტომ მოზარდს, რომელშიც სიცოცხლე დიდი ძალით ჩქეფს, არ შეუძლია უმოძრაოდ დარჩეს და ცხოვრების რომელიმე გზას არ გაჰყვეს, მაგრამ ის გზები, რომელთაც იგი ირჩევს და მიჰყვება, ყოველთვის მწვერვალებისკენ არ მიდის, ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის არაა. ამიტომ აღმზრდელმა მოზარდი იმ გზით უნდა წაიყვანოს, რომელიც მასში მაღალზნეობრივი თვისებების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ინფორმაცია

თბილისის საჯარო სკოლების შშმ, სსსმ და ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურება

2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, თბილისის საჯარო სკოლების შშმ, სსსმ სტატუსის მქონე და ეტლით მოსარგებლე 300-ზე მეტ მოსწავლეს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ გადაადგილებას და ამ მიზეზით, ხშირად, გაკვეთილებს ვერ ესწრებიან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სპეციალური ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურებათ. სამინისტროს ინფორმაციით, საჭიროებიდან გამომდინარე, მათ ტრანსპორტირებაში ჩართული არიან სპეციალურად გადამზადებული გამყოლებიც.

ტრანსპორტით უზრუნველყოფილნი არიან ის მოსწავლეებიც, რომელთა სკოლებსა და დასახლებებს შორის დიდი მანძილია და მოსწავლეები, რომლებიც, სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების გამო, დროებით, გადაყვანილი არიან სხვადასხვა სკოლაში (სულ 2600-მდე მოსწავლე).

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამას, თბილისის მასშტაბით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. აღნიშნული პროგრამის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე დაგვიანებისა და გაცდენების მაჩვენებლის შემცირება და ასევე საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე, და პირიქით, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება.

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 1 259 790 ლარის მოცულობის ელექტრონული ტენდერი 2019 წლის 18 დეკემბერს გამოცხადდა.

„2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იყო 21 სკოლის 1000 მოსწავლე (აქედან 215 შშმ და სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე)“, – აღნიშნულია განათლების სამინისტროს ინფორმაციაში.

№198 საჯარო სკოლა სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, აქ სრულად აკმაყოფილებენ სსსმ ბავშვთა მოთხოვნებს. სკოლაში ფუნქციონირებს ლეგოტეკა-სათამაშოების ბიბლიოთეკა, თამაშთერაპიის ოთახი, შრომის კაბინეტი, ფსიქოსოციალური ლაბორატორია, ყოფითი უნარების შესასწავლი კაბინეტი, ადაპტირებული სასადილო და სხვ.

198-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თეონა ყაჭეიშვილი** ამბობს, რომ მათ სკოლაში, გაკვეთილების შემდგომ, ბავშვები, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, იღებენ ჯგუფურ ან ინდივიდუალურ სერვისს. მას მიაჩნია, რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა ძალიან საჭირო პროექტია, განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია იმ ოჯახებისთვის, სადაც სსსმ, შშმ ან ეტლით მოსარგებლე ბავშვები ჰყავთ. ტრანსპორტით უზრუნველყოფამ მშობლებს დიდი დრო გამოუთავისუფლა, ბევრმა მუშაობაც კი დაიწყო და როგორც თვითონ აღნიშნავენ, ოჯახები გაძლიერდნენ.

198-ე საჯარო სკოლის უფროსი აღმზრდელის, **ივანე საათაშვილის** აზრით, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, რადგან: *„9 საათზე იწყება გაკვეთილები, რომლის დროსაც ბავშვები აკადემიურ განათლებას იღებენ. გაკვეთილების შემდეგ კი იწყება გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელიც, შედარებით, უფრო გართობაზე და გართობით სწავლაზეა ორიენტირებული. სხვადასხვა მოტორული და მხიარული აქტივობებით ვასრულებთ სხვადასხვა დავალებებს, რის შედეგადაც გარკვეულ უნარებს ვხვეწთ.“*

8 წლის, აუტისტური სპექტრის მქონე, მოსწავლის მშობელი აღნიშნავს, რომ 198-ე საჯარო სკოლაში ძალიან თბილი გარემოა და კარგი მასწავლებლები არიან. რაც შეეხება ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას, ამბობს, რომ *„ძალიან კომფორტულია, როცა ტრანსპორტი სახლის კართან ჩერდება და ბავშვი სკოლაში მიჰყავს, იქ ასისტენტი ხვდება და კლასშიც შეჰყავს. ამიტომ ძალიან იმედიანად ვართ. პროგრამა დიდ დახმარებას გვიწევს.“*

გაკვეთილების შემდეგ, სპეციალური საჭიროების მქონე

ბავშვები სახლებში ისევ ადაპტირებული ტრანსპორტით ბრუნდებიან. 2019-20 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 24 სკოლის 2550 მოსწავლე, აქედან 308 შშმ და განსაკუთრებული საჭიროების სტატუსის მქონე მოსწავლეა.

განათლების მინისტრის მოადგილე **ეკა დგებუაძე** ამბობს, რომ განათლების სამინისტროს უმთავრესი მიზანია განათლების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის. *„ამ პროგრამაში ჩართულია ასევე სკოლები, რომლებიც არ არის მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი, ეს არის სივრცე, სადაც ეს კონკრეტული ბავშვი იღებს განათლებას და მისი საცხოვრებელი ადგილი საკმაოდ მოშორებული კონკრეტული სკოლიდან. ამ შემთხვევაშიც, პროგრამის ფარგლებში, თითოეულ ბავშვს საცხოვრებელ ადგილას აკითხავს ტრანსპორტი, მიჰყავს სკოლაში და უკან აბრუნებს.“*

ამ დროისთვის მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებას 47 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ემსახურება, აქედან 5 ადაპტირებულია.

თვალსაზრისი

დაწყებით კლასებში მოსწავლეებში სწავლის დაბალი მოტივაციის ასამაღლებლად მასწავლებლისა და მშობლის როლის თაობაზე

ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია განათლების კარგად გააზრებული და მიმდინარე გამოწვევებს მორგებული საგანმანათლებლო კონცეფციის გარეშე. სახელმწიფოს კეთილდღეობა, მისი მომავალი, მონაწილეობა გლობალურ პროცესებში, განვითარება და აღმშენებლობა დამოკიდებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მაღალი პასუხისმგებლობის, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე განათლებული მოქალაქეების არსებობაზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ქვეყნისათვის საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა. სიცოცხლის ადრეული წლებიდანვე ხდება ადამიანში გარკვეული ღირებულებების ჩამოყალიბება, მოგვიანებით კი, სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით, მათი გამყარება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სოციალიზაციის პროცესის განუყოფელი, მეტიც, ერთ-ერთი წარმმართველი ფაქტორია და სწორედ ის უნდა უზრუნველყოფდეს თანამედროვე მოზარდების მომზადებას ზრდასრული ცხოვრებისათვის და თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი, საგნობრივი კომპეტენციების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიღმა, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. პიროვნების საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები, საერთო კულტურა, მისი ღირებულებები, განვითარების პროცესი სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება და საგნის სწავლების ძირითადი მიზნებიც ამ მოცემულობის გათვალისწინებით განისაზღვრება. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესასწავლ საგნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. საგნობრივი პროგრამის თანახმად, *„ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა“* (http://mastsavlebeli.ge/?p=10278).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს საგაკვეთილო ბადეში დიდი ადგილი ეთმობა. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის *„ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც მათი შემთხვევითი ნაკრები, არამედ როგორც ერთი მთლიანი სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, სხვა დანარჩენი საგნების შესწავლის საშუალებაა.“*

დაწყებითი სწავლების ექვსწლიანი ციკლის პერიოდში საჭიროა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ძირითადი საქმიანობა ისე მიმდინარეობდეს, რომ საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეეძლოს:

✔ ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება;

✔ ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება;

✔ მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა.

კითხვის სწავლების პროცესებზე, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მოსწავლის კოგნიტური განვითარება. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი, ვინც ჟ. პიაჟეს აზრს ეთანხმებიან, მიიჩნევენ, რომ სწავლა მაშინ არის შედეგიანი, თუ ის ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება. ხოლო, ისინი, ვინც ლ. ვიგოტსკის თეორიას იზიარებენ, მიიჩნევენ, რომ პირიქით, სწავლა ხელს უწყობს განვითარებას. როგორც არ უნდა იყოს, პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კლასი ერთი ჰომოგენური ჯგუფია, სადაც სხვადასხვა გამოცდილების, განვითარებისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები არიან. მასწავლებელი იმგვარად უნდა წარმართავდეს სწავლებას, რომ ყველა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს, თავისი განვითარების ფარგლებში. თითოეულ მოსწავლეს თავისი ინდივიდუალური განვითარების უახლოესი ზონა აქვს (ლ. ვიგოტსკი) და მასწავლებელმა, ამ ზონის ფარგლებში, უნდა გაუწიოს მათ კონსტრუქციული დახმარება: *„ბავშვის სწავლების პროცესი „ჯადოსნურ შუალედში“ უნდა მიმდინარეობდეს, როცა სწავლა მათთვის არც მოსაწყენი იქნება და არც ძალიან რთული.“*

კითხვა ლიტერატურული გამოცდილების მიღების მიზნით ხელს უწყობს, ზოგადად, კითხვის მიმართ ინტერესის და წიგნის სიყვარულის გაღვივებას, ხოლო კითხვა ინფორმაციის მიღების და გამოყენების მიზნით მოსწავლეს ცოდნის შეძენასა და დაგროვებაში ეხმარება. სწავლის პროცესში, სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე, მოსწავლეებს, ნარატიულთან ერთად, საინფორმაციო და აღწერით ტექსტებზეც უწევთ მუშაობა. ეს მათთვის ძალიან რთული სამუშაოა, თუ დაწყებით კლასებში არ აქვთ მიღებული გარკვეული ცოდნა-გამოცდილება, რაც ერთგვარად გაუადვილებთ საქმეს საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლის დროს.

როგორც ცნობილია, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ხოლო მასწავლებლებისგან მოითხოვს მათ მოაზრებას თითოეული საგნის სწავლების კონტექსტში. ეს კომპეტენციებია: წიგნიერება; მედიაწიგნიერება; ციფრული წიგნიერება; რაოდენობრივი წიგნიერება; ეკოლოგიური წიგნიერება; მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია; სემიოტიკური კომპეტენცია; სწავლის სწავლა; სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. პრიორიტეტული კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავებასა და განვითარებას ხელს უწყობს მიზანმიმართული, სისტემატური მუშაობა.

საგულისხმოა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, გამჭოლ კომპეტენციათა შორის, გამორჩეულად აღსანიშნავია წიგნიერება. *„თანამედროვე გაგებით წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების და პრობლემის მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს.“* ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა, პირველი კლასიდანვე, მიაჩვიოს მოსწავლეები ელექტრონულ წიგნებს და სხვა დამატებით ციფრულ რესურსებს, რომლებიც დაეხმარება მათ კითხვის მიმართ ინტერესისა და წიგნის სიყვარულის გაღვივებაში.

წიგნიერების, ანუ წერა-კითხვის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და წინაპირობა ზეპირი მეტყველებაა. კლასგარეშე ნაწარმოებების კითხვა მოსწავლეთა მეტყველების განვითარებაზეც დიდ გავლენას მოახდენს, რადგან ბავშვი, ბევრი კითხვით, მისთვის შეუმჩნევლად ითვისებს სწორ ლიტერატურულ ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს. ცნობილია, რომ მოსწავლე, რომელიც ბევრს კითხულობს, უკეთ წერს და მეტყველებს, ვიდრე კლასგარეშე კითხვით ნაკლებად დაინტერესებული. ძალიან ხშირად, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას ხელს უშლის მწირი ლექსიკური მარაგი, ლექსიკური ერთეულების შინაარსის არცოდნა. ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა სინონიმებსა და ანტონიმებზე მუშაობა. ამ დროს მოსწავლე ხედავს, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვებით შესაძლებელია, სხვადასხვანაირად გადმოვცეთ აზრი.

ვფიქრობ, მასწავლებელი, რა საგანსაც უნდა ასწავლიდეს, პირველ რიგში, მოვალეა:

ა) სრულყოფილად ფლობდეს იმ ენას, რომელზედაც ასწავლის;

ბ) სისტემატურ კონტროლს უწევდეს და მკაცრ მოთხოვნებს უყენებდეს მოსწავლეთა წერასა და ზეპირმეტყველებას.

მოზარდისთვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა, სწავლის საფუძველი კი – კითხვის უნარია, ამიტომ ხელი უნდა შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას, რაშიც გადამწყვეტი როლი კითხვას და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად, წიგნიერებას ენიჭება. აუცილებელია, მასწავლებელმა დიდი ყურადღება მიაქციოს საკუთარ პრაქტიკას და შეეცადოს, რომ სწავლება ეფექტური გახადოს. ეფექტური სწავლება წარმოუდგენელია სამი, მჭიდროდ დაკავშირებული, ელემენტის გათვალისწინების გარეშე:

1) სწავლების მეთოდები;

2) კლასის მართვის მეთოდები;

3) საგნის სწავლების გეგმა.

(მარზანო რ., ფიქერინგი დ., ფოლოქი ჯ. (2009 წ) „ეფექტური სწავლება სკოლაში“).

თავისთავად ფაქტია, რომ ეფექტური სწავლა მასალის აქტიურად გააზრებასა და გადამუშავებას მოითხოვს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გავაცნოთ სწავლის ეფექტური სტრატეგიები და ვასწავლოთ მათი სათანადო გამოყენება. განათლების სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, არსებული ცოდნის გახსენება, ჩანაწერების გაკეთება, ინფორმაციის ორგანიზება ძალიან ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში.

ამავე დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, აუცილებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები მიეცეს. კითხვის პროცესში და წერითი დავალებების შესრულებისას, ყველა მოსწავლემ/ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი. ასევე მნიშვნელოვანია მშობლებთან თანამშრომლობა.

ცხადია, კითხვის უნარის განვითარებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს საკლასო გარემოს. სწავლების სტრატეგიები და აქტივობები, წიგნების ხელმისაწვდომობა კლასში სწავლებასა და სწავლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მასწავლებლის კვალიფიკაცია, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კოლეგებთან თანამშრომლობა, მისი მოლოდინები და დამოკიდებულებები პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლეზე.

იმავდროულად, ბავშვების წიგნიერებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ოჯახური გარემო. ოჯახის მიკროგარემომ შეიძლება ისეთი კლიმატი შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებს, ენისა და სხვადასხვა სახის ტექსტების გამოყენებით, „აღმოჩენების“ კეთებასა და „ექსპერიმენტების“ ჩატარებაში. მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების მიერ კითხვასთან, წაკითხულთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა, ინტერესის გამოხატვა კითხვის მიმართ ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებას ეხმარება.

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე სკოლას უამრავი გამოწვევა აქვს, აუცილებლად მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს და თანამშრომლობდეს მშობელთან. მშობლის ჩართვისა და აქტიურობის გარეშე, რომელიც სასწავლო პროცესის ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს, სკოლის ინტერესების რეალიზება და სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა ვერ მიიღწევა. სწავლის პროცესში მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია საშინაო დავალების მომზადება. აუცილებელია, ბავშვმა პირველი კლასიდანვე იცოდეს, რომ მას სახლში გარკვეული ვალდებულებები აქვს. მიმაჩნია, რომ საშინაო დავალება იოლად დასაძლევი უნდა იყოს მოსწავლისთვის. თუ იგი ადვილად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გაართმევს თავს დავალების შესრულებას, მოტივაცია უმაღლდება და თავდაჯერებული ხდება, ხოლო სირთულის შემთხვევაში, მოტივაცია მცირდება და სწავლის ხარისხი იკლებს, ბავშვს არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდება. ამავე დროს, საგულისხმოა, რომ მშობელს ყოველთვის საკუთარ მოვალეობად მიაჩნია, რომ შვილი კარგად სწავლობდეს, ზრუნავს წარმატებისთვის და ამ ზრუნვის ერთ-ერთი საგანი საშინაო დავალების შესრულებაა. ბავშვს ხშირად მკაცრ მოთხოვნებს ვუყენებთ და საშინაო დავალების შესრულება-შეუსრულებლობა ოჯახურ კონფლიქტად იქცევა ხოლმე, რადგან მოსწავლეებს ხშირად „ავიწყდებათ“ საშინაო დავალების შესრულება ან ზერელედ, უყურადღებოდ ასრულებენ. მშობელს თანდათან უძნელდება შვილის მართვა და მის დასჯას იწყებს, თუ ესეც ვერ გაჭრის, მაშინ თვითონ ასრულებს შვილის ნაცვლად დავალებებს, თუმცა მასწავლებელს არასოდეს უჭირს გაარჩიოს მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება უფროსების დახმარებით შესრულებულისგან.

საშინაო დავალების მომზადებაში მშობლის როლი მხოლოდ იმის გარკვევაა, თუ რა ცოდნა და უნარები ესაჭიროება მის შვილს მასწავლებლის მიერ მიცემული დავალების შესასრულებლად. თუ მშობლები მჭიდროდ ითანამშრომლებენ პედაგოგებთან და გაითვალისწინებენ მასწავლებლების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, შვილების ნაცვლად თვითონ არ შეასრულებენ საშინაო დავალებებს, ამით საკუთარ შვილებს პასუხისმგებლობის გრძნობას გამოუმუშავებენ და დაეხმარებიან, გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები. საშინაო დავალების შესრულება ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, უკეთესად გააზრებას, კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის გადამუშავების უნარის განვითარებას, სწავლის ჩვევების დახვეწას. გარდა ამისა, საშინაო დავალება მოსწავლეს საკუთარი თავის მართვასა და დისციპლინის შემუშავებას ასწავლის, დამოუკიდებლად სწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს უვითარებს, დროის უკეთესად განაწილებას აჩვევს და ინფორმაციის მიღების სურვილს უღვივებს. ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, მშობელი ნაკლებად ახერხებს, შვილს დაუთმოს დრო ან დამატებითი აქტივობებით გაანებივროს სახლში. მშობელი მაგალითია შვილისთვის, როდესაც ბავშვი ხედავს მშობელს, რომელიც აქტიური მკითხველია, მასაც უჩნდება სურვილი, წაიკითხოს წიგნი და იმსჯელოს მშობელთან წაკითხულის შესახებ. მშობელთა მხრიდან შვილის წიგნიერების ამაღლებისათვის საჭირო დროის უქონლობა ან ნაკლებობა თავის კვალს ტოვებს მოზარდთა ცხოვრებაში, რაც შემდგომ, უარყოფითად აისახება მათ წარმატებებზე.

როგორც ვნახეთ, მოტივაციის ასამაღლებლად, სწავლების პროცესში ჩადებული უნდა იყოს როგორც სკოლის, მასწავლებლის, ასევე მშობლის მხრიდან სტრატეგიები, რაც გაზრდის მოსწავლეებში შინაგან და გარეგან მოტივაციას (შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო. გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მოელის წახალისებას, ჯილდოს, კარგ ქულას, შექებას, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვებას და ა.შ.), რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურად ამაღლებს საერთო განწყობას სწავლისადმი და აისახება წიგნიერებაზე.

ნანა ჯალაღონია

სსიპ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი,
ფილოლოგიის დოქტორი,
წამყვანი მასწავლებელი

ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ŞAGIRDLƏRIN BILIK VE BACARIQLARINDAN ISTIFADƏ ETMƏKLƏ MOTIVASIYASINI YÜKSƏLTMƏK

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ №7 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲛᲘᲜᲐᲠᲐ ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲕᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ.

ᲡᲙᲝᲚᲐ: სსიპ ქ. მარნეულის №7 საჯარო სკოლა
ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ: მინარა კარაკოვა
ᲡᲐᲒᲐᲜᲘ: ქართული, როგორც მეორე ენა
ᲙᲚᲐᲡᲘ: მე-7
ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ: 14 მოსწავლე, სსსმ მოსწავლე კლასში არ არის
ᲓᲠᲝ: 45 წუთი
ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ: დიაგნოსტიკური

Əvvəlki bilik və bacarıqlar:
- Şagird şəxs şəkilcilərindən istifadə etməyi bacarır
- Şagird gürcü dilində balaca mətn düzəltməyi bacarır
- Şagird gürcu dilində söhbət etmayi bacarır
- Şagird gürcu dilində cütlüklə işləməyi bacarır

Təhsil resursları: dərslik, işçi vərəqləri, qələm, karandaş, lövhə, təbaşir.
Dərsin mövzusu: feillərin I, II, III şəxsdə işlədilməsi
Dərsin məqsədi: şagirdlərin bilik ve bacariqlarından istifadə etməklə motivasıyasını yüksəltmək

Biliyin nümayişi – prezentasiya (təqdimat)

Fəallıq 1.	Məqsəd	Vaxt	Təşkil forması	Resurslar (vesaitlər)
Sinifin təşkili; dərsin movzu ve məqsədinin, qiymətləndirmə meyarlarının təqdimatı	Şaqirdlərin dərs prosesinə cəlb olunması	2d	Sinif	Jurnal, qələm, karandaş, lövhə təbaşir, qiymətləndirmə rubrikasi (meyarları) məktuları

Fəallıq 2.	Məqsəd	Vaxt	Təşkil forması	Vəsaitlər	Qiymətləmdirmə
Siniflə birgə iş - suallar vermək	Keçmiş biliyin fəallaşdırılması	5d	Ümumi sinif	Kağız Qələm	Müşahidə əsasında inkişafetdirici qiymətləndirmə

1. „Mikrofon“ necə verilişdir?
2. Onun əsas tamaşıcıları kimlərdir?
3. Həftənin hansı günü efirdə olur?
4. „Mikrofon“ hansı televiziya kanalında gedir?
5. Verilişin efirə getməsini kim hazirlayır?

1. „Mikrofon“ uşaq verilişidir.
2. Onun əsas tamaşıcilari uşaqlardır.
3. Hər altıncı gün saat 7-də.
4. „Mikrofon“ verilişi telavi televiziya kanalında gedir.
5. Balaca jurnalistlər

Fəalliq 3. Asosiatik xəritə



Fəallıq 4.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Resurslar	Qiymətləndirmə
Mövzu üzrə prezentasiya (təqdimat) Balaca jurnalistlər	Şaqirdlər felin III şəklində danışa bilirlər	7d	İndividual (fərdi)	Böyük vərəqlər, Markerlər	İnkişafetdirici

Məsələn:
O Elene Nairaşvilidir. Elene 1999-cu il iyulun 6-da anadan olmuşdur. O Telavii yeddi nömrəli məktəbin VI sinifində oxuyur. Elene tarixi, xarici dilləri, rəsm çəkməyi ve bədii ədəbiyyat oxumağı sevir.
1. Tazo Kubraşvili
2. Nunuka Cavaxişvili
3. Saba Zatiaşvili

Fəallıq 5.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Vəsaitlər (resurslar)	Qiymətləndirmə
Felin I şəxsindən istifadə etməklə mətn duzəltmək	Alınan biliyin təcrübədə tətbiqini inkişaf etdirmək	7d	Tək individual	Vərəq qələm	İnkişafetdirici qiymətləndirmə

Məsələn:
Mən Ayşən Qurbanovayam. Mən 2007-ci il aprelin 14-də anadan olmuşam.Mən Marneuli şəhərinin 7 saylı ictimai məktəbinin VII sinfində oxuyuram.Mən idmanı, ingilis, gürcü ve azərbaycan dili dərslərini sevirəm.

Fəallıq 6.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Resurslar (vəsaitlər)	Qiymətləndirmə
Felin II şəxsindən istifadə etməklə mətn duzəltmək	Alınan biliyin təcrübədə tətbiqi	8d	Cütlüklə oyun, söhbət: „Tap mən kiməm“	Şagird	İnkişafetdirici qiymətləndirmə

Məsələn:
I şagird:
Ani, bani, qani, kartuli anbani, Mariam qamoitsani, Me vin var?
II şagird:
Sən Ayşən Qurbanovasan. Sun 2007-ci ilin 14 aprelində anadan olmusan. Sən Marneuli şəhərinin 7 saylı ictimai məktəbinin VII sinfində oxuyursan. Sən idman, ingilis, gürcu və azerbaycan dili dərslərini sevirsən.

Fəallıq 7.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Vəsaitlər (resurslar)	Qiymətləndirmə
Məlumatlar əsasında felin III şəxsində mətn düzəltmək	Şagirdlərin bilik və bacarığının göstərilməsi, motivasiyanın yüksəldilməsi	10d	Qrupla	Şagird müəllim vərəq qələm məlumatlar	Müşahidə etməklə inkişafetdirici qiymətləndirmə

Məsələn:

Hans Kristian Andersen:
Anadan olduğu tarix: 1805-ci il 2 aprel
Anadan olduğu yer: Daniya, Kopenhagen şəhəri
Milliyəti: Daniyalı
İxtisası: Yazıçı
Maraqları: Oxumaq, mahnı, rəqs, tamaşalar hazırlamaq
Vəfat etdi: 1875-ci il 4 avqust.

Astrid Lindqren
Anadan olduğu tarix: 1907-ci il 14 noyabr
Anadan olduğu yer: İsveçrə, Vimerbyu şəhəri
Yaşayış yeri: İsveçrə
Milliyəti: İsveçrə
İxtisası: Yazıçı
Maraqları: nağıllar və şən tarixçələr.
Vəfat etdi: 2002-ci il 28 yanvar.

Revaz Inanişvili:
Anadan olduğu tarix: 1936-ci il 20 dekabr
Anadan olduğu yer: Gürcüstan, Sagareco rayonu, Xaşmi kəndi
Yaşayış yeri: Tbilisi
Milliyəti: Daniyalı
İxtisası: Yazıçı
Maraqları: Oxumaq, yazmaq, rəsm çəkmək.
Vəfat etdi: 1991-ci il 26 dekabr.

Fəallıq 8.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Vəsaitlər (resurslar)	Qiymətləndirmə
İşlərim təqdimatı (prezentasiya)	Biliyin nümayişi təqdimatı	4d	Qrupla İndividual (tək)	Şagird müəllim düzəldilmiş mətn	İnkişafetdirici qiymətləndirmə

Prezentasiya 1.
O Hans Kristian Andersendir. Yazıçı 1805-ci il 2 apreldə, Daniyada, Kopenhagen şəhərində anadan olmuşdur. Milliyətcə Daniyalıdır. İxtisasca yazıçıdır. O kitab oxumağı, mahnıları, rəqsi və tamaşalar qoymağı sevirdi. Yazıçı 1875-ci il avqustun 4-də vəfat etmişdir.
Prezentasiya 2.
O Revaz Inanişvilidir, Yazıçı 1926-cı il 20dekabrda Gürcüstanda, Saqareco rayonunun Xaşmi kəndində anadan olmuşdur. O tbilisidə yaşayırdışMilliyyətcə gürcüdür. O kitab oxumağı, yazmağı və rəsm çəkməyi çox sevirdi. Yazıçı 1991-ci il dekabrın 26-da vəfat etmişdir.
Prezentasiya 3.
O Astrid Lindqrendir. O 1907-ci il 14 noyabrda Isveçrədə, Vimerbyu şəhərində anadan olmuşdur. İxtisasca yazıçıdır. Astrid nağılları və şən tarixcələri çox sevirdi. Astrid Lindqren 2002-ci il 28 yanvarda vəfat etmişdir.

Fəallıq 9.	Məqsəd	Vaxt	Təşkilat forması	Vəsaitlər (resurslar)	Qiymətləndirmə
Keçilən materialın yekunu, Şagirdlərin qiymətləndirilməsi	Nə bilirik Nə bilmirik	2d	Siniflə	Şagird müəllim Qiymət „smaylinqlə“ „gülüşlərlə“	İnkişafetdirici qiymətləndirmə smaylinqlə

Ev tapşırığı: Hər hansı bir müəlimin şəxsi məlumatı və onun vasitasilə mətn düzəltmək.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲤᲠᲔᲑᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტრო, საპილოტე რეჟიმში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში ქართული სახელმძღვანელოების გაციფრებას გეგმავს. საუკეთესო სახელმძღვანელოების შესარჩევად უწყება კონკურსს გამოაცხადებს.

სამინისტროს ხედვა ელექტრონული წიგნების შემოღებასთან დაკავშირებით, 22 იანვარს, ლონდონში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მყოფმა განათლების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა მსოფლიოში უდიდესი საერთაშორისო საგანმანათლებლო კომპანიის – მაკმილანის ხელმძღვანელობას გააცნო.

მინისტრმა გამომცემლობის ხელმძღვანელობასთან იმ უპირატესობებზე ისაუბრა, რასაც ელექტრონული წიგნების შემოღება მისცემს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. მისი თქმით, პირველ რიგში, ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესს და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს. ზოგადად კი, ციფრული სახელმძღვანელოების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს, მასალის წაკითხვასთან ერთად, წვდომა ექნებათ მულტიმედიურ ინტერაქტიულ რესურსებზე, როგორიცაა თვითშეფასების ტესტები, ვირტუალური ლაბორატორიები და სხვა აპლიკაციები.

სახელმძღვანელოების გაციფრების კონცეფციამ კომპანიის ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა და მათ მზადყოფნა გამოთქვეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კონკურსში.

საშოდელო გაკვეთილი

შერეული რიცხვების გამოკლება

საგანი	მათემატიკა
სახელმძღვანელოს ავტორი	თინა ბექაური; ავთანდილ საგინაშვილი; გიორგი ბექაური
კლასი	V (12 მოსწავლე; შშმ მოსწავლე არის)
დრო	45 წუთი
თემა	შერეული რიცხვების გამოკლება
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებმა შეძლონ შერეული რიცხვებისა და მთელიდან წილადის გამოკლება; მიღებული ცოდნის ამოცანების ამოსახსნელად გამოყენება.
გაკვეთილის ტიპი	გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი (სწავლის სწავლა, რაოდენობრივი წიგნიერება).
კავშირი ესგ-თან	**მათ.V.3. მოსწავლეს შეუძლია ნატურალურ რიცხვებზე და ტოლმნიშვნელიან წილადებზე მოქმედებების შესრულება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ახდენს ერთნაირი მნიშვნელის მქონე მარტივ წილადებზე არითმეტიკული მოქმედებების დემონსტრირებას და მოქმედებათა შედეგის ინტერპრეტაციას მოდელის გამოყენებით (მაგალითად, ნამცხვრის ნაჭრები).
მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები	ინდივიდუალური მუშაობა; კლასთან ჯგუფური მუშაობა; წყვილებში მუშაობა.
შეფასება	განმავითარებელი შეფასება – შეფასების რუბრიკით; **აქტივობა**: ჯგუფური მუშაობა
სასწავლო მასალა და რესურსები	სახელმძღვანელო; ბარათებით სავსე ყუთი; დაფა; ცარცი; მარკერი; ფლიფ-ჩარტი; კონვერტში მოთავსებული დასაწყვილებელი წინადადებები; ბარათები; ცხრილები.
წინარე ცოდნა	შერეული რიცხვი; არაწესიერი წილადის ჩაწერა შერეული რიცხვის სახით და პირიქით; ტოლმნიშვნელიანი რიცხვების შეკრება და გამოკლება; შერეული რიცხვების შეკრება; რიცხვი 1-ის ჩაწერა სხვადასხვა მნიშვნელიანი წილადის სახით.
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება (1წთ)** **მიზანი:** საკლასო ჟურნალში დასწრების აღრიცხვა; შეხსენება – დავიცვათ ქცევის წესები (მოსწავლეებთან ერთად შექმნილი ქცევის წესები გამოკრულია საკლასო ოთახში, თვალსაჩინო ადგილზე). **აქტივობა 2. „ცოდნის სკივრი“ (3წთ)** **მიზანი:** მოსწავლეთა მოტივაციიის ამაღლება და შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ჩამოატარებს ყუთს, რომელშიც მოთავსებულია კითხვები განვლილი მასალიდან, თითოეული მოსწავლე ყუთიდან იღებს ბარათს და პასუხობს კითხვას. მასწავლებელი აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. **აქტივობა 3. დაასრულე წინადადება (6წთ)** **მიზანი**: წინარე ცოდნის გააქტიურება, ახალი ცოდნის კონსტრუირებისათვის ხელშეწყობა. **აქტივობის აღწერა:** შესწავლილი მასალის გააზრებისა და ცნებების, განმარტებების მთლიანობაში აღქმის მიზნით, მოსწავლები იღებენ წინასწარ გამზადებული ბარათებიდან ერთ-ერთ მათთვის უცნობ ბარათს, კითხულობენ და ეძებენ მეწყვილეს, წყვილდებიან და აკეთებენ პრეზენტაციას. წინადადებები: 1. **შერეული რიცხვი შედგება მთელი** და წილადი ნაწილისაგან; 2. **შერეული რიცხვის მთელ და წილად ნაწილებს** შორის იგულისხმება არითმეტიკული მოქმედება – შეკრება; 3. **ორი შერეული რიცხვიდან ისაა მეტი, რომლის მთელი ნაწილიც მეტია. თუ მთელი ნაწილები ტოლია,** მაშინ მეტია ის შერეული რიცხვი, რომლის წილადი ნაწილიც მეტია. 4. **შერეული რიცხვის შესაბამისი წერტილი რიცხვით სხივზე მოინიშნება 1-ის** შესაბამისი წერტილის მარჯვნივ; 5. **შერეული რიცხვების შეკრებისას, მთელ ნაწილს მთელი ნაწილი მივუმატოთ, წილადს** – წილადი და მიღებული შედეგი შევკრიბოთ; 6. **1 მთელს რომ გამოვაკლოთ წილადი, ამისათვის საჭიროა რიცხვი 1** ჩავწეროთ წილადის სახით. ამ აქტივობის დასრულების შემდეგ ვაკეთებ თითოეული ჯგუფის შეფასებას შეფასების რუბრიკის პირველი კრიტერიუმით. **აქტივობა 2. ტექსტზე მუშაობა და ცხრილის შევსება (16წთ)** **მიზანი:** მოსწავლეებმა მოახდინონ ახალი ცოდნის კონსტრუირება. **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ საგაკვეთილო ტექსტში 4 7.10-ში მოცემულ პირველ ამოცანას, შემდეგ, ჯგუფთან ერთად, აანალიზებენ ამოცანას, მისი ამოხსნის გზას და მოცემული მონაცემებით ავსებენ ცხრილს (საჭიროების დროს, თითოეულ ჯგუფს კონსტრუქციულ დახმარებას ვუწევ).

რა დაწესებულებაზეა საუბარი?	
რა პროდუქტი იყიდება?	
რამდენი კგ. შოკოლადი იყო გასაყიდი?	
დღის განმავლობაში რამდენი კგ .გაიყიდა?	
რა სიდიდეა საძიებელი?	
როგორი რიცხვებია მოცემული ამოცანაში?	
რა არითმეტიკული მოქმედებაა საჭირო?	
შერეულ რიცხვს შერეული რიცხვი რომ გამოვაკლოთ, საჭიროა...	
მაღაზიაში გასაყიდი დარჩა...	

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას. შემდეგ თითოეული ჯგუფი მუშაობს № 5-ის პირველ, მეორე და მესამე მაგალითზე, წაკითხვით მოწმდება ამოხსნის სისწორე. შემდეგ ვკითხულობ ტექსტში მოცემულ მეორე ამოცანას. მოსწავლეების კითხვა-პასუხით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აქ გვჭირდება მთელიდან შერეული რიცხვის გამოკლების წესი. საკითხის კარგად შესწავლის საფუძველს წარმოადგენს თვალსაჩინოება და სწავლებისათვის საჭირო მოქმედება უნდა შესრულდეს საგნებზე დემონსტრირებით, ამიტომაც ვიყენებ წინასწარ მომზადებულ თვალსაჩინოებას (დანართი). მოსწავლეებზე დაყრდნობით და მათი აქტიური მონაწილეობით, მთელ რიცხვს ვაკლებთ შერეულ რიცხვს, გამოგვყავს წესი.

ჯგუფებს ვურიგებ მსგავს მაგალითს, ასრულებენ დავალებას და აკეთებენ პრეზენტაციას. ვაკეთებ ჯგუფების შეფასებას შეფასების რუბრიკის მეორე კრიტერიუმით.

აქტივობა 3. ჯგუფური მუშაობა (12წთ)

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ახალი ცოდნის განმტკიცება და გამოყენება. ამ დროს, მასწავლებელი გაიგებს, ვინ და როგორ მიაღწია მიზანს, ვის სჭირდება დახმარება და რაში, რასაც მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვისას იყენებს.

აქტივობის აღწერა: ჯგუფის წარმომადგენელი იღებს კონვერტს, სადაც მოთავსებულია ერთი ამოცანა (რამდენიმე ცალად, რადგან შესაძლებელი იყოს, ჯგუფის ყველა წევრმა დამოუკიდებლად წაიკითხოს). ამოცანას აანალიზებენ, მსჯელობენ, ავსებენ ცხრილს და აკეთებენ პრეზენტაციას.

ვაძლევ განმავითარებელ უკუკავშირს და ჯგუფს შეფასების რუბრიკის მესამე კრიტერიუმით ვაფასებ.

ამოცანა 1. სამკუთხედის ორი გვერდის ჯამია $4\frac{3}{8}$სმ, ხოლო პერიმეტრი $5\frac{7}{8}$სმ. რას უდრის სამკუთხედის მესამე გვერდი?

მოცემული სიდიდეებია	
საძიებელი სიდიდეა	
მოცემულ ფიგურაზე რა თვისება იცი?	
რას უდრის სამკუთხედის პერიმეტრი?	
ამოხსნა	
პასუხი	

ამოცანა 2. ტეხილის სიგრძე $15\frac{8}{15}$ სმ-ის ტოლია. ტეხილის ბოლოებს შორის მანძილი კი $12\frac{6}{15}$სმ-ია. რამდენი სმ-ით მეტია ტეხილის სიგრძე მის ბოლოებს შორის მანძილზე?

მოცემული სიდიდეებია	
საძიებელი სიდიდეა	
მოცემულ ფიგურაზე რა თვისება იცი?	
რას უდრის ტეხილის სიგრძე?	
ამოხსნა	
პასუხი	

ამოცანა 3. მართკუთხედის სიგრძე $7\frac{5}{12}$ სმ-ის ტოლია, ხოლო ნახევარ პერიმეტრი $10\frac{11}{12}$ სმ-ის. რას უდრის მართკუთხედის სიგანე?

მოცემული სიდიდეებია	
საძიებელი სიდიდეა	
ჩაწერეთ მართკუთხედის ფართობისა და პერიმეტრის გამოსათვლელი ფორმულები	
რას უდრის მართკუთხედის სიგრძისა და სიგანის ჯამი?	
ამოხსნა	
პასუხი	

აქტივობა 4. დაამყარეთ შესაბამისობა (5წთ)

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ შესწავლილი მასალის გამოყენება სხვადასხვა აქტივობების დროს.

აქტივობის აღწერა: დაფაზე გამოკრულ ფლიფჩარტზე მოცემულია ცხრილი. მოსწავლეებს ევალებათ დაამყარონ შესაბამისობა ორ სვეტს შორის, რომელიც მოიცავს შერეულ რიცხვებს და მათზე მოქმედებებს. დავალება დაწერილია სამი ფერის კალმით, შესაბამისად ჯგუფი ასრულებს იმ დავალებას, რომელი ფერის მარკერიც აქვს მის ჯგუფს.

შერეული რიცხვი შედგება	**შერეული რიცხვის სახით**
$6\frac{7}{14} - 2\frac{4}{14} =$	$12\frac{5}{13}$
შერეული რიცხვის მთელ და წილად ნაწილს შორის იგულისხმება	**მთელი და წილადი ნაწილებისგან**
$19\frac{7}{13} - 7\frac{2}{13} =$	$4\frac{3}{14}$
ყოველი მთელი რიცხვი შეიძლება ჩავწეროთ	$6\frac{4}{9}$
$11 - 4\frac{5}{9} =$	**შეკრება**

მე-3 და მე-4 აქტივობის დასრულების შემდეგ, თითოეულ ჯგუფს, ვაძლევ განმავითარებელ უკუკავშირს და ჯგუფებს შეფასების რუბრიკის მესამე კრიტერიუმით ვაფასებ.

აქტივობა 5. საშინაო დავალება **(2წთ)**

მიზანი: მიღებული ცოდნის გამოყენება საშინაო დავალების შესრულების დროს. 4 7.10; №1; 2; 3; 10.

გაკვეთილის მსვლელობა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

№	კრიტერიუმები	ჯგუფი №1			ჯგუფი №2			ჯგუფი №3		
		საშ	კარგი	სან	საშ	კარგი	სან	საშ	კარგი	სან
1	ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობდა წინარე ცოდნის გასააქტიურებელ აქტივობაში; პასუხს იძლეოდნენ დამაჯერებლად.									
2	ინდივიდუალურად წაიკითხეს დავალება; აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას და მონაწილეობდნენ ცხრილის შევსებაში; ერკვევიან თუ როგორ გამოაკლონ შერეულ რიცხვს შერეული რიცხვი.									
3	ჯგუფური მუშაობის დროს პატივს სცემდნენ სხვის მოსაზრებას; ამოცანის პირობების შესაბამისად, შეავსეს ცხრილი და გააკეთეს პრეზენტაცია; დაამყარეს შესაბამისობა სვეტებს შორის.									

დანართი



$9 - 3\frac{3}{8} = 8\frac{8}{8} - 3\frac{3}{8} = 5\frac{5}{8}$

$8 - 2\frac{4}{6} = 7\frac{6}{6} - 2\frac{4}{6} = 5\frac{2}{6}$

$6 - 3\frac{2}{7} = 5\frac{7}{7} - 3\frac{2}{7} = 2\frac{5}{7}$

P.S. ამ გეგმის მიხედვით ჩატარებულ გაკვეთილზე მაღალი იყო მოსწვლეთა მოტივაცია, მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში; კიდევ ერთხელ მოხდა შესწავლილი მასალის გამეორება/განმტკიცება; განუვითარდათ თანამშრომლობის, კომუნიკაციის, კითხვის, სახელმძღვანელოსთან მუშაობისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები; შეძლეს შესწავლილი მასალის გამოყენება პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას.

მერი ჯაფარიძე

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

იუბილე

განათლების ხევისბერი



„ბატონ ვახტანგ მაკარაძეს

ბატონო ვახტანგ, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

თქვენ ბრძანდებით ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი და ღირსეული მეურხოვნე, რომლის მთელი ცხოვრება მა-გალითია სამშობლოსათვის მუშაკობისა.

უფალმა დაგლოცოთ და კვლავაც დიდხანს გამსახუროთ ღმერთს და მოყვასს.

პატივისცემით,
ილია მეორე,
სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი“

რჩეულთა შორის რჩეული, სულით ძლიერი, ღირსებებით შემკული დიდებული პიროვნება, გულანთებული მამულიშვილი, ღირსების ორდენის კავალერი, ჭეშმარიტი მოძღვართ-მოძღვარი, კარგი ორგანიზატორი, განათლების ნამდვილი ქურუმი გახლავთ **ვახტანგ მაკარაძე**.

განგებამ ყოველგვარი მადლი უხვად დაანათლა. მასში ყველაფერი ლამაზია – გარეგნობაც და სულიერი სამყაროც, მანერებიც და აზრებიც... მთის შვილს, მთის ჰაერივით სუფთასა და უხინჯოს, მთასავით ზვიადსა და მომხიბლავს აქვს არაჩვეულებრივი, ღვთით მომადლებული უნარი ადამიანებთან ურთიერთობის, მხარში დგომის, საწუხარის შემსუბუქების, სხვებისათვის სიხარულის მინიჭების და ისიც ქვეყნის, ადამიანების, განათლების, ბავშვების, სიკეთის სამსახურში იღვწის და დღენიადაგ იხარჯება.

ისტორიული მარეთის ულამაზესი ხეობიდან, ბუნების ჯადოსნური ფუნჯით ზღაპრულად მოქარგულ, თვალწარმტაც სოფელ ოლადაურიდან დაიწყო მისი ხატიმამული. ორგანიზატორული ნიჭით, საზრიანობითა და მიზანმიმართულობით გამორჩეულ მოსწავლეს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო ჯგუფის მასწავლებლობა დაავალეს, ხოლო შვიდკლასდამთავრებული ჭაბუკი კავშირგაბმულობის ოლადაურის სააგენტოს გამგედ დანიშნეს. ჩინებულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ცოდნის დაუფლების წყურვილმა მანამდე არ მოასვენა, სანამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი არ გახდა. ცოდნის ტაძარმა ულამაზესი ფურცლები შემატა ჩემი ცხოვრების წიგნსო, – ამბობს იგი და სიყვარულით იხსენებს ლექტორ-მასწავლებლებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მომავალი პედაგოგის პროფესიულ დაოსტატებაში.

1952 წელს ვახტანგ მაკარაძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მშობლიურ სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მაძიებელი, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი საქმის სიყვარულით თავდაუზოგავად შრომობდა და იხარჯებოდა, თავის სულს და გულს აქსოვდა საქმეს, რომელსაც ღვთისგან ბოძებულ ბედნიერებად მიიჩნევდა.

ნოვატორი პედაგოგი, შუახევის ცალკე რაიონად შექმნის დღიდან, გადაყვანილ იქნა რაიონის კინოფიკაციის გამგედ, ხოლო 1953 წლიდან შუახევის საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში. სკოლა მალე გამოირჩა წესრიგით, მოსწავლეთა სანიმუშო ყოფაქცევით, მაღალი აკადემიური მოსწრებითა და საანქებო აღმზრდელ-პედაგოგებით. წინამძღოლობისა და სკოლის მართვის ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი, 1961 წელს, განათლების განყოფილების გამგედ დააწინაურეს. ამ პოსტზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ბატონი ვახტანგის მაღალი ერუდიცია, პროფესიონალიზმი, თვითნაბადი ნიჭი, გერგილიანობა და ორგანიზატორული შესაძლებლობანი, რომლებიც შერწყმული იყო დიდ შრომისმოყვარეობასა და საქმის სიყვარულთან. 12 წლის განმავლობაში სათავეში ედგა აღნიშნულ განყოფილებას. იგი ძალას და ენერგიას არ იშურებდა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ თოვლში დღენიადაგ სკოლებში, პედაგოგებთან იყო და მათთან ერთად ყველაფერს აკეთებდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლების, დაწყებითი სამხედრო სწავლების განხორციელების, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ადგილობრივი ინტელიგენციის ზრდისა და მომავლის ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დიდ ეროვნულ საქმეს და ამით დიდი ამაგი დასდო მშობლიურ რაიონს. მარტო 1973-1975 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა საბავშვო ბაგა-ბაღების, დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების 80-მდე შენობა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, ვახტანგ მაკარაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით, შუბანსა და ჩირუხში მოსწავლეთა ბანაკები რომ გაიხსნა, სადაც როგორც შუახევის, ისე მეზობელი რაიონების ასობით ბავშვი ისვენებდა და იკაჟებდა ორგანიზმს. ხელოვანი პედაგოგი წუხს და გული სტკივა იმის გამო, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა. მისი სურვილი და მოწოდებაა, მთა ჩირუხი კვლავ ჩადგეს ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის სამსახურში.

1963 წელს, შუახევის რაიონის ხულოს რაიონთან შეერთების გამო, ვახტანგ მაკარაძე ოლადაურის საშუალო სკოლის დირექტორად გადაჰყავთ. 1967 წელს კი, შუახევის რაიონის აღდგენის შემდეგ, კვლავ განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ცოდნა-გამოცდილებით დაბრძენებულმა მაძიებელმა პედაგოგმა და ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა განათლების დარგის განვითარებისა და მისი შემდგომი სრულყოფის საქმეში. სწორედ შემოქმედებითი და წარმატებული მუშაობის აღიარება იყო მისი აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაწინაურება. ბატონი ვახტანგი აქაც ჩვეული შემართებით იღვწოდა და დღენიადაგ იხარჯებოდა იმისათვის, რათა ინსტიტუტი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ნამდვილი კერა გამხდარიყო. პარალელურად, გეოგრაფიას ასწავლიდა ბათუმის №6 საშუალო სკოლაში, ხოლო ბოლო წლებში გეოგრაფიული მეცნიერების ხიბლს ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებს აზიარებდა.

ღვაწლმოსილი პედაგოგი კვლავ ახალგაზრდული შემართებითაა. შვიდი ათეული წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა გაკვეთილის საფუძვლიანი მომზადების, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგების, საინოვაციო საქმიანობის გაცნობის გარეშე შესულიყო კლასში. ის არ ივიწყებს კ. უშინსკის სიტყვებს: *„მასწავლებელი მანამდე ცოცხლობს, ვიდრე სწავლობს, როგორც კი სწავლას შეწყვეტს, მასში კვდება მასწავლებელი“* ამიტომაც ყოველთვის ახალი, საინტერესო, სახალისო მასალით შედის გაკვეთილზე. ჩვეული სიდინჯით, მიმზიდველად, ესთეტიკური გემოვნებით, მრავალფეროვანი მეთოდების მომარჯვებით ატარებს ღრმაშინაარსიან, ორიგინალურ, აკადემიურად დატვირთულ ცოცხალ და ხალისიან გაკვეთილებს. წვდება თითოეული ბავშვის სულიერ სამყაროს, მის შინაგან „მე“-ს. ყოველ მათგანში ამჩნევს, ხედავს არაჩვეულებრივ უნარს. განუმეორებლობას, უნიკალობას. *„მოსწავლე ჭურჭელი არ არის პირთამდე ასავსები, არამედ სანთელია, რომელიც უნდა აანთო,“* – ამბობს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც ამ სულისკვეთებით მუხტავს გაკვეთილის ყველა მასალას. მისთვის გაკვეთილზე შესვლა აღსაზრდელის სულში შესვლას, სულის თანაზიარობას, მასთან ჰუმანურ თანამშრომლობას, ფიქრისა და განსჯისათვის სარბიელის შექმნას ნიშნავს. ამყარებს საგანთაშორის კავშირს, როცა ევროპის ქვეყნებს ასწავლის, მოუთხრობს ქართველი მებრძოლების, პარტიზანების გმირული ბრძოლების შესახებ, რითაც ინტერესს უღვივებს მოსწავლეებს და ეროვნული სიამაყით ავსებს.

ხელოვანი პედაგოგი, პროგრამული მასალის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით, გაკვეთილების პარალელურად, უნარიანად იყენებს კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. იშვიათად მოიძებნება საქართველოში პედაგოგი, რომელსაც ისეთი თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდეს მუშაობაში, როგორიც ბატონ ვახტანგ მაკარაძეს აქვს. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებენ ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში. 24 მათგანი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექციამ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა.

ადვილი სათქმელია 24 დიპლომის მიღება! რა დიდი, მუხლჩაუხრელი, რუდუნებითი შრომა და გარჯაა გაწეული თითოეული დიპლომის მისაღებად. ასევე მთელ თავის ცოდნას და ენერგიას, სულსა და გულს აქსოვს ბატონი ვახტანგი მოზარდებში მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებაში. საამისოდ ეფექტიანად იყენებს ექსკურსიებს.

ადამიანი არ იქნება სრულქმნილი, ამბობს ამაგდარი პედაგოგი, თუ ისე გაიზარდა, რომ მინდვრის ყვავილი არ მოუწყვეტია, ბუნების წიაღში მწვანე ბალახი არ გაუთელავს. ამიტომაცაა, რომ ყოველწლიურად ატარებს ექსკურსიებს. ვინ მოთვლის, ათეული წლების განმავლობაში, რამდენ მოზარდს მოატარა საქართველოს მთა-ბარი, ვარძიის, სვეტიცხოვლის, გელათის, ზარზმის, თმოგვის, ხერთვისის, ნიკორწმინდის, ახალი ათონის, ციცხვათის და სხვა ხელთუქმნელი ქმნილებების ხიბლი აგრძნობინა, სიამაყის გრძნობით აავსო და ზურმუხტოვანი მთებისა და ლურჯკამკამა ცის სიყვარული ცხოვრების დიდ გზაზე საგზლად გაატანა.

ვახტანგ მაკარაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. დიდი სამამულო ომის წლებში, სამხრეთი საზღვრების (აჭარა-შავშეთის ქედზე) გამაგრებისა და ფრონტის დასახმარებლად გაწეული დიდი წვლილისათვის, იგი დაჯილდოვდა მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

აღსანიშნავია ბატონი ვახტანგის განსაკუთრებული დამსახურება შუახევის რაიონის დაარსებასა (დაარსდა 1952 წელს) და შემდგომში გაუქმებული რაიონის აღდგენაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც სათავეში ჩაუდგა, 1998 წელს, მარეთის ხეობაში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას, რომელიც მისი კურთხევით დაგვირგვინდა. წმიდა ტაძარი გრანდიოზულია მთელ რაიონში. ამაგდარი პედაგოგი ასევე ძალ-ღონეს არ იშურებდა და 20-წლიანი ძიების შემდეგ მიაკვლია კიდეც სამების ეკლესიის (XIV-XVსს) ნანგრევებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული ტაძრის აღდგენაში. საგულისხმოა, რომ 80 წლის ასაკში, მასთან ერთად, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ქრისტიანულად მოინათლა, დაუბრუნდა მამა-პაპისეულ რწმენას.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. ღვაწლმოსილი პედაგოგი დააინტერესა სოფელ გორას (ხელვაჩაურის რაიონი) ნორჩი მოქალაქეების ბედმა. პატარებს სოფელში არ ჰქონდათ სკოლა. ბატონი ვახტანგის ინიციატივითა და ძალისხმევით, გორაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდგომ საბაზო სკოლად გადაკეთდა.

უპრიანია ითქვას იმის შესახებაც, რომ ბატონი ვახტანგი ნიჭიერი კალმოსანია. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევ საკითხებზე აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, სტატიებს. არის 300-ზე მეტი წერილისა და ნაშრომის ავტორი. 2006 წელს გამოიცა მისი სქელტანიანი წიგნი „გამონათლევის გამონათება“, რომელიც დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. ასევე ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა მისმა ნაშრომებმა: „მარეთის ხეობა“, „მარეთი და მარეთელები“ და, ელგუჯა მაკარაძესთან ერთად გამოცემულმა, ფუნდამენტურმა გამოკვლევამ „მაკარაძეები და მაკარიძეები“.

ოსტატობის მადლიანი ხელი ამჩნევია გამოსაცემად მომზადებულ წიგნს „განათლების ხევისბერი“. ნაშრომი მემუარული თემატიკით, პუბლიცისტური და მეთოდური წერილებით, ბატონი ვახტანგის კოლეგების, ყოფილი მოსწავლეების, მეგობრების, ცნობილი ადამიანების, ხელმძღვანელების ნარკვევებით, მოგონებებით ისტორიულ-პედაგოგიური და დოკუმენტური ნაშრომია. მასში გარკვეული ისტორიული მოვლენების ჭრილში ოსტატურადაა გაშუქებული ავტორის საინტერესო, წარმატებული და შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი შეუნელებელი, მოხლჩაუხრელი, რუდუნებითი ზრუნვა ახალგაზრდების სულიერების ამაღლების, მათში ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ამ ეროვნული სარწმუნოებისაკენ შემობრუნებისათვის. საამისოდ იგი ძალზე მკაფიო მაგალითს თავად იძლევა. ბატონი ვახტანგი ქრისტიანული სამლოცველოების, საერო სასწავლებლების მშენებლობის ავანგარდში დგას.

მეტად მნიშვნელოვნად და უაღრესად საჭიროდ მიგვაჩნია იმ ფასდაუდებელი ღვაწლისა და ამაგის ნარმოჩენა, რომელიც ჩვენს კუთხეს დასდეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულმა მასწავლებლებმა. ბატონმა ვახტანგმა არქივებში ორ წელზე მეტ ხანს იმუშავა, შეაგროვა მასალები და წარმოგვიდგინა შუახევის რაიონში, 1915 წლიდან 2015 წლამდე, მოვლინებული მასწავლებლების სია. საყურადღებოა მისი წინადადება აჭარაში მოვლინებულ მასწავლებელთა ღვაწლის უკვდავყოფის შესახებ. მისი თქმით, რაიონის ცენტრში უნდა დაიდგას მემორიალური ძეგლი, რომელზედაც აღიბეჭდება იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც ცოდნის ალი აანთეს აჭარაში.

ვახტანგ მაკარაძის მამულიშვილურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე წერდნენ და წერენ არა მარტო მისი აღზრდილები, კოლეგები, არამედ ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, მწერლები, განათლების დარგის მუშაკები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აჭარის განათლების ყოფილი მინისტრები: ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, ნანი გუგუნავა, პროფესორები: ანზორ დიასამიძე, თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ და შოთა მახარაძეები...

ხანგრძლივი უანგარო და თავდადებული შრომა ჯეროვნად დაუფასდა ვალმოხდილ და ღვაწლმოსილ პედაგოგს, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ (ორჯერ), თორმეტი მედლით (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მედლით), დიპლომებით, საპატიო სიგელებით; მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, საქართველოს პრეზიდენტისა და ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები; მარეთის ხეობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირველს მიენიჭა „საპატიო მარეთელის” წოდება, არის „საპატიო შუახეველი“; იყო სხვადასხვა არჩევითი ორგანოს დეპუტატი, მასწავლებელთა ყრილობების დელეგატი, არჩეულია სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს წევრად, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორად, ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლახან კი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულომ და საზოგადოებრივმა კავშირმა „მარეთმა“ ღვაწლმოსილ პედაგოგს „ხეობის მოძღვრის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

სამაგალითო, სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული ოჯახი შექმნა ბატონმა ვახტანგ მაკარაძემ. მოსიყვარულე მეუღლესთან, ნადია მაკარაძესთან ერთად, სამაგალითო შვილები და შვილიშვილები აღზარდა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მის დიდ ოჯახში 20-ზე მეტი უმაღლეს განათლებულია. შვილთაშვილები, რომლებიც ამჟამად მოსწავლები და სტუდენტები არიან, კიდევ უფრო გაზრდიან ამ რაოდენობას. ისინი სიმდიდრედ და სიკეთედ შეემატებიან ქვეყანას.

ვალმოხდილ და ღვაწლმოსილ პიროვნებას ვულოცავთ დაბადების 95 და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 75 წლისთავს. უფალი ფარავდეს და წინამძღვრობდეს კეთილშობილურ საქმიანობაში. დღეგრძელი იყოს მისი გზა-სავალი, დღეგრძელი იყოს მისი ოჯახი!

აკაკი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი

გამოცდილება

საშინაო დავალების დასწავლის ხარისხის გაუმჯობესება გახანგრძლივებულ ჯგუფში

გახანგრძლივებული დღის ჯგუფი სასკოლო მომსახურების ფორმაა, რომელიც დასაქმებულ მშობელთა მხარდაჭერით სარგებლობს. დაწყებითი კლასის მოსწავლე გაკვეთილების შემდეგ, 4-5 საათი არის გახანგრძლივებულ ჯგუფში. ეს დრო მრავალფეროვანი საქმიანობის მომცველია: შესვენება, სადილი, საშინაო დავალების მომზადება.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ საჭიროა საშინაო დავალების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. II კლასს, რომელშიც ვმუშაობ, გამოცდილი მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან. მოსწავლეებიც წარმატებულები არიან, მაგრამ გახანგრძლივებულ ჯგუფში მუშაობამ სპეციფიკური მიდგომები მოითხოვა. სამწუხაროდ, ამ მიმართებით მეთოდური ლიტერატურა და რეკომენდაციები თითქმის არ არის.

ჩემი ნაფიქრი საგნის მასწავლებლებს გავუზიარე. მათ მირჩიეს, რომ თავად მომეძიებინა სათანადო წყაროები პრობლემის ირგვლივ, შემესწავლა კლასის მოსწავლეთა საჭიროებები და შემემუშავებინა მეთოდური მიდგომები. პრობლემა რთული იყო, მაგრამ კოლეგების, განსაკუთრებით უფროსი მასწავლებლის, ცირა დუმბაძის, თანადგომამ წამახალისა და დავიწყე მუშაობა, რომელმაც ერთი სემესტრის განმავლობაში უკვე დადებითი შედეგი მომცა.

თავდაპირველად დავიწყე პასუხის ძიება კითხვაზე: „არის თუ არა საშინაო დავალება შედეგიანი?“ საერთაშორისო კვლევების გაცნობამ შემდეგი სურათი აჩვენა: კუპერის მიერ ჩატარებული კვლევის (1994) მიხედვით აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებიც საშინაო დავალებას ასრულებენ, გაცილებით წარმატებულები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც არ ასრულებდნენ.

TIMSS საერთაშორისო კვლევის შედეგებით (2007), მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში, საშინაო დავალების დიდ მოცულობასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის დადებითი ურთიერთდამოკიდებულებაა.

ფინური სკოლის წარმატებების (2008) ანალიზში აღნიშნულია, რომ მოსწავლეებს საშინაო დავალებას არ ან ძალიან მცირედ აძლევენ.

პედაგოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში საშინაო დავალება სწავლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული (დ. ლორთქიფანიძე (1967), ა. გობრონიძე (2000), ვ. გაგუა (2002)). მკვლევრები – მუისი და რეონოლდსი (2005) მიიჩნევენ, რომ დაწყებით კლასებში არ არის სასურველი საშინაო დავალების მიცემა, რადგან ეს იწვევს ბავშვების გადაღლას. კვლევის ამ შედეგს მაშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და აღინიშნა, რომ საშინაო დავალება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლის უნარს უვითარებს. ამასთან, დიდი მოცულობის საშინაო დავალებით გადატვირთვას უარყოფენ და დროს მიუთითებენ 20-30 წუთამდე.

საშინაო დავალება ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის მიერ გამოცემულ წიგნში „ეფექტიანი სწავლება“ (2010).

მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლით დავადგინე, რომ მათ საშინაო დავალების შესრულება სურთ, ოღონდ არ უნდა იყოს ბევრი და დამღლელი. მშობლების დამოკიდებულების შესწავლით კი გავარკვიე, რომ ისინი საშინაო დავალების შესრულებას საჭიროდ მიიჩნევენ. აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს ოჯახში არც თუ ისე სასიამოვნო პროცესია, ხშირად მათ ძალისხმევას მოითხოვს. კმაყოფილება გამოხატეს იმით, რომ მოსწავლეები საშინაო დავალებას, ძირითადად, გახანგრძლივებულ ჯგუფში ასრულებენ.

სასწავლო საგნის მასწავლებლებთან დიალოგით ცხადი გახდა, რომ საშინაო დავალების გარეშე სასწავლო პროცესი დასრულებულად არ მიაჩნიათ.

თეორიებისა და პრაქტიკის ანალიზით ჩამოვაყალიბე ჩემი სამუშაო პროგრამა, რომელმაც მოიცვა შემდეგი საკითხები:

✔ დავხმარებოდი მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, თუ რით არის სასარგებლო საშინაო დავალება;

✔ თითოეული სასწავლო საგნის მიხედვით გამერკვია რა მიზანი აქვს საშინაო დავალებას და ამის მიხედვით დამეგეგმა შემდგომი საქმიანობა;

✔ დამედგინა რა სახის შეიძლება იყოს საშინაო დავალება;

✔ განმესაზღვრა დრო, რომელიც თითოეულ სასწავლო საგანში საშინაო დავალების შესრულებას დაეთმობოდა;

✔ შემესწავლა მოსწავლეთა დასწავლის სტილი;

✔ შემესწავლა მოსწავლეთა ინტერესი შესასრულებელი სამუშაოს მიმართ;

✔ შემესწავლა მოსწავლეთა მზაობა საშინაო დავალებით გათვალისწინებული მასალის დასწავლისთვის;

✔ კოლეგებთან თანამშრომლობით განმეხორციელებინა მრავალფეროვანი მიდგომები.

მოსწავლეებთან ერთად ჩამოვაყალიბე ინფორმაციული სამახსოვრო: „რა უნდა ვიცოდე საშინაო დავალების შესახებ“:

საშინაო დავალების შესრულება დამეხმარება:

✔ ახალი ცოდნის გაღრმავებასა და უკეთ გააზრებაში;

✔ გამოვთქვა ჩემი შეხედულებები;

✔ შევამოწმო რა ვიცი, რა შემიძლია;

✔ დამოუკიდებლად გადავჭრა სწავლის დროს წარმოქმნილი პრობლემა;

✔ ვიმუშაო განსაზღვრულ დროში;

✔ ავიღო პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის შედეგზე;

✔ რას დაამატებთ?

ინფორმაციულ სამახსოვრო მცირე ფლიფჩარტზე განვათავსეთ და დავტოვეთ ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, სიტყვით, ნახატით, ლექსით, ახალი სამახსოვრო მიაწერონ. ამ მინაწერმა ინფორმაციული სამახსოვრო სახალისო გახადა. ბავშვებმა მიახატეს წარმატების გამომხატველი ემოცია, მიაწერეს „ჯერ მწარე ჭამე...“ და სხვა.

სასწავლო საგნების მასწავლებლებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ საშინაო დავალების შესრულების მიზანი. იგი მრავალფეროვანი აღმოჩნდა, პრიორიტეტი მივანიჭეთ რამდენიმეს:

✔ გაკვეთილზე ნასწავლი მასალის გამეორება და განმტკიცება;

✔ გაკვეთილზე დაწყებული სასწავლო აქტივობების გაგრძელება და გაძლიერება;

✔ დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება;

✔ საგაკვეთილო მასალასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციის მოძიება;

✔ პასუხისმგებლობის აღიარება საკუთარი სწავლის შედეგებზე.

განვსაზღვრე საშინაო დავალების სახეები და შევუსაბამე მიზნებს:

✔ **პრაქტიკული დავალება** – გაკვეთილზე ნასწავლი მასალის განმეორება განმტკიცებისათვის;

✔ **მოსამზადებელი დავალება** – ახალი საგაკვეთილო მასალისათვის ინფორმაციული ფონის შექმნა;

✔ **მასალის გაღრმავების დავალება** – გაკვეთილზე დაწყებული აქტივობების გაგრძელება ან ახლის შესრულება.

საშინაო დავალების მეთოდური მახასიათებლების განსაზღვრის შემდეგ, დავიწყე მოსწავლეთა დასწავლის სტილის შესწავლა, რისთვისაც მათ კითხვარები მივაწოდე. პასუხებიდან უნდა შემოეხაზათ მათთვის დამახასიათებელი:

I. მე ვსწავლობ კარგად:

ა) როცა მიყვებიან;

ბ) როცა ვკითხულობ;

გ) როცა ვწერ.

II. მე ვსწავლობ კარგად:

ა) როცა მარტო ვსწავლობ;

ბ) როცა წყვილში ვარ;

გ) როცა ჯგუფში ვსწავლობ.

დასწავლის სტილიდან, მონაცემების მიხედვით, დავაჯგუფე მოსწავლეები. I მონაცემები თითქმის ყველაზე გადანაწილდა, II მონაცემებში უპირატესობა „მარტო სწავლას“ მიანიჭეს, ორმა დაუმატა „განმარტოებით“, „წყვილებში სწავლა“ ერთმა მიაწერა, „ჯგუფებში სწავლა“ არავინ მოიწადინა.

II მონაცემების მიხედვით მოვაწყვე სასწავლო გარემო, ბავშვებმა თვითონ დადგეს თავიანთი მერხი იქ, სადაც თავს კომფორტულად გრძნობდნენ. ერთი ადგილი გამოვყავით წყვილისთვის „მასწავლებელთან ერთად“.

შესასრულებელი სამუშაოს მიმართ ინტერესების შესასწავლად, ვთხოვე, მიწოდებული აქტივობებიდან შემოეხაზათ ის, რომელსაც სიამოვნებით შეასრულებდნენ. აქტივობის ჩამონათვალი საგნის გრძელვადიანი გეგმისა და სახელმძღვანელოს მიხედვით შევადგინე. მოსწავლეთა მიმართ მინიჭებული პრიორიტეტები მრავალფეროვანი იყო. ისინი საკმაოდ კარგად ფლობენ სხვადასხვა სახის სავარჯიშოებს, ასევე, პრეზენტაციების, კითხვებზე პასუხის გაცემის, სვეტობრივი დიაგრამისა და სხვა აქტივობის გამოყენებას.

საგნის მასწავლებლებთან შეთანხმებით, ინტერესისა და დასწავლის სტილის მონაცემები შევაჯამეთ და გადავწყვიტეთ, მოსწავლეებისთვის, საშინაო დავალების შესასრულებლად, შეგვეთავაზებინა აქტივობა არჩევით. თითოეული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული იყო 2 ან 3 აქტივობა, მოსწავლე ირჩევდა ერთ-ერთს.

საშინაო დავალების შესრულების პროცესში დასწავლისთვის მზაობა მოსალოდნელზე რთული პრობლემა აღმოჩნდა. აქ გამოიკვეთა არა მხოლოდ წინარე ცოდნის დონე, არამედ ის დარღვევებიც, რომელიც დასწავლას აბრკოლებდა. ასეთი აღმოჩნდა:

✔ უჭირს დროის დაგეგმვა;

✔ უჭირს წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა;

✔ უჭირს საკუთარი აზრის ფურცელზე გადატანა;

✔ უძნელდება წინარე და ახალი ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება;

✔ არ მოსწონს წერა;

✔ ცდილობს, თავი აარიდოს დასწავლის პროცესს (სახლში ვისწავლი და ა.შ.);

✔ უძნელდება მითითებების გაგება და შესრულება;

✔ ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, სხვებთან მირბის იმის გასაგებად თუ რას აკეთებენ.

მშობლებთან გასაუბრებით და სკოლაში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევით, მოსწავლეებს სმენითი, მხედველობითი, მეტყველებითი დარღვევები არ აქვთ. ამდენად, აღნიშნული დარღვევები შეიძლება თანდათან შემცირდეს და დაძლეულ იქნეს.

საამისოდ დავგეგმეთ შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, ვისაც დროის დაგეგმვა უჭირს, აქტივობის ინსტრუქცია:

✔ გთხოვ, დააკვირდე შენი ორი მეგობარი რამდენ სიტყვას წერს ერთ წუთში, შეადარე ორივე მონაცემი – ვისია უმჯობესი? შენ რამდენი სიტყვის დაწერა შეგიძლია 1 წუთში?

✔ დაინიშნე დრო, რამდენ წუთში შეასრულებ წერით დავალებას მათემატიკაში? შესთავაზე შენი მეთოდი მეგობარს, მისი დროის დასაგეგმად.

ვისაც არ მოსწონს წერა, შემდეგი აქტივობის ინსტრუქცია შევთავაზე:

✔ მოვამზადოთ საშინაო დავალება დაწერის გარეშე. თუ რა შედეგი გვექნება (გაკვეთილზე დაკვირვების მონაცემები), გაგვაცანით ხვალ, საშინაო დავალების შესრულების დაწყებამდე.

მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა მოსწავლეთა მიერ შესრულებული საშინაო დავალების შემოწმება, შეფასება. თითქმის ყველა ითხოვდა შემოწმებას. ამ სიტუაციაში სასარგებლო გამოდგა საგნის მასწავლებლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რამაც საშუალება მომცა, გამომეყენებინა მოსწავლეთა თვითშეფასება, თანაშეფასება. მიუხედავად მცირე ასაკისა, მოსწავლეები სიამოვნებით „აფასებენ“ ერთმანეთს, იყენებდნენ შესაბამის ტერმინოლოგიას: „კარგია, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა...“, „შენს პასუხს ხომ არ შეადარებდი სახელმძღვანელოში მოცემულ სწორ პასუხებს“, „შენ უკეთესად შეგიძლია აზრის გამოთქმა“ და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭე საშინაო დავალების შესრულების პროცესში განტვირთვის აქტივობებს, რომელსაც ყოველი 25 წუთის შემდეგ ვასრულებდით: „ წვიმა მოდის“, „ვივარჯიშოთ მუსიკის თანხლებით“, „გვემღერება და ვმღერით“ და სხვ.

საშინაო დავალებების შესრულების შემდეგ, დავგეგმეთ სხვადასხვა აქტივობა: „დაწერე და წაშალე“, „გასაფერადებელი სიტყვები“, „სახალისო ნახატები“, „ნახატით შევადგინოთ ზღაპარი“, „გამოფენა-ნახატი“, „ჩემი ბებია და ბაბუა“, „კროსვორდი“, „შევადგინოთ პოსტერი“, „წერილი...“ „თხრობის მთა“, „ვიცეკვოთ და ვიმღეროთ“, „ლექსების დილა“, „გვიყვარდეს ერთმანეთი“, „ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე“, ფოტოკოლაჟი – „საკლასო ოთახის ფანჯრიდან დანახული ჩემი სამშობლო“.

ამრიგად, გახანგრძლივებულ ჯგუფში საშინაო დავალების შესრულების პროცესში, დასწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ეფექტური გამოდგა, საგნის მასწავლებლების თანამშრომლობით, ისეთი საქმიანობის განხორციელება, როგორიცაა: საგნების მიხედვით საშინაო დავალებების მიზნების განსაზღვრა, დასწავლის შემაფერხებელი დარღვევების აღმოჩენა და მათი დაძლევისთვის საშინაო დავალების სახეების დადგენა; შესრულების დროის დაგეგმვა და დაცვა, მოსწავლეთა დასწავლის სტილის, შესასრულებელი სამუშაოებისადმი ინტერესის, დასწავლისთვის მზაობის დონის შესწავლა; საშინაო დავალების შესრულებისთვის შესაბამისი გარემოს მოწყობა; დიფერენცირებული მიდგომა აქტივობების შესასრულებლად; შესრულებული სამუშაოს განმავითარებელი შეფასებით თვითშეფასება/თანაშეფასება.

ერთ სემესტრში განხორციელებული საქმიანობით შესაძლებელი გახდა დასწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. გახანგრძლივებული ჯგუფის მუშაობის პერიოდში შევძელით ყველა სასწავლო დავალების დასწავლა-შესრულება წარმატებული შედეგით, ასევე გასართობი და შემეცნებითი დამატებითი აქტივობების განხორციელება.

აღწერილი მიდგომებითა და მეთოდებით შესაძლებელი გახდა, გახანგრძლივებულ ჯგუფში, მოსწავლეთა მუშაობა ხალისიანი აქტივობებით, მიღწეული შედეგებით სიხარულის განცდით წარმართულიყო. მოსწავლეებს დარჩათ თავისუფალი დრო სახლში გასართობად, მშობლების დასახმარებლად.

სტატიაში აღწერილი საქმიანობით სასურველი შედეგების მიღწევის უმთავრესი პირობაა საგნის მასწავლებლებთან კოლეგიალური თანამშრომლობა, მშობელთა მხარდაჭერა.

სინანმი ბერიძე
წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის
გახანგრძლივებული ჯგუფის
მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2019-2024;
2. ა. გობრონიძე, „პედაგოგიკა“ – 2000;
3. „ეფექტიანი სწავლების თეორია და პრაქტიკა“, ავტორთა ჯგუფი: ი. კუტალაძე და სხვები – 2010;
3. „წიგნიერება“, ავტორთა ჯგუფი: პ. პაპავა და სხვები – 2011;
4. TIMSS – საერთაშორისო კვლევის შედეგები – 2007.

კლუბური მუშაობა

კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება მოსწავლეებში ლიტერატურული კლუბის საშუალებით

თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, რაც სასწავლო პროცესში მოსწავლეთა პიროვნულ და ინდივიდუალურ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს ითვალისწინებს. თანამედროვე პირობებში რუსული ლიტერატურის ეფექტური სწავლება მოითხოვს საკლასო და კლასგარეშე მეცადინეობების ორგანულ შერწყმას, მოსწავლეებში დამოუკიდებლობის განვითარებას. კლასგარეშე მუშაობა ლიტერატურის სიღრმისეული და შემოქმედებითი შესწავლის განუყოფელი ნაწილი ხდება.

ლიტერატურის შესწავლისათვის კლასგარეშე მუშაობის საინტერესო და ეფექტურ ფორმას წარმოადგენს ლიტერატურული კლუბი. ეს არის იმ მოხალისე მოსწავლეთა გაერთიანება, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ, ანალიზისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებისკენ ისწრაფვიან.

სასკოლო ლიტერატურული კლუბის უპირატესობა არის:

- სტაბილურობა (ხელს უწყობს სასკოლო ტრადიციების აღორძინებას);
- სისტემატურობა(შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა სახის კლასგარეშე მეცადინეობები ჩატარდეს არა იზოლირებულად, არამედ მიზანმიმართულად, რაც უზრუნველყოფს ეფექტურობას).
- მეცადინეობას მასობრივი ხასიათი აქვს, შესაძლებელი ხდება მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა.

ჩვენი კლუბის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება და რუსული ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივება, ასევე კლუბის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

დასახული მიზნების მიღწევაში დამეხმარა მოსწავლეთა დიდი ინტერესი და მზაობა რუსული ლიტერატურის გასაცნობად, სურვილი, მეტი გაეგოთ არა მხოლოდ დიდი რუსი პოეტების და მწერლების შემოქმედების შესახებ, არამედ ახლოს გასცნობოდნენ იმ ეპოქას, რომელშიც ისინი მოღვაწეობდნენ, შეესწავლათ მათ შესახებ ბიოგრაფიული ცნობები და ფაქტები პირადი ცხოვრებიდან.

დასახული გეგმის მიხედვით ვახორციელებდით აქტივობებს, რომლებშიც კლუბის წევრები დიდი ენთუზიაზმით ერთვებოდნენ. ვნახულობდით ფილმებს კლუბში განხილული ნაწარმოებების მიხედვით, რომლებსაც ძალიან დიდი ინტერესი ახლდა.

განსაკუთრებით აღვნიშნავდი დისკუსიების წარმატებით წარმართვას, სადაც კლუბის ყველა წევრი აქტიურად იყო ჩართული და გამოხატავდა საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი. აღსანიშნავია დისკუსია ნ.ვ. გოგოლის ნაწარმოებზე „Тарас Бульба“, სადაც ასახული იყო მამებისა და შვილების პრობლემა, როცა ტარას ბულბა არ პატიობს საკუთარ შვილს სამშობლოსა და თავისიანების ღალატს და ანდრის თავისი ხელით ასალმებს სიცოცხლეს. მოსწავლეებმა გაიხსენეს ქართულ და უცხოურ მწერლობაში მსგავსი პრობლემა, დაასახელეს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების პერსონაჟი ონისე, როცა ხევისბერი გოჩა თავისი ხელით კლავს შვილს ასევე თავისიანების ღალატისათვის, გაიხსენეს პროსპერ მერიმეს მათიას ფალკონე, სადაც მამა ასალმებს სიცოცხლეს შვილს.

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მათთვის ა.ს. პუშკინის მოთხრობის „Метель“ გაცნობა, სადაც პუშკინი ოსტატურად აღწერს მთავარი გმირის, მარიას სასიყვარულო განცდებს, იმედგაცრუებასა და ნამდვილი სიყვარულის პოვნას ბურმინის სახით, რომელთანაც ის, შემთხვევით, ქარბუქის გამო, აღმოჩნდა ჯვარდაწერილი წლების წინ და რომელთანაც მას, წლების შემდეგ, კვლავ მოუხდა შეხვედრა და აღიარება იმისა, რომ ისინი ბედმა კვლავ შეახვედრა. მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია პუშკინის პირადმა ცხოვრებამ, თუ რატომ და რა ვითარებაში დაიღუპა დუელში გენიალური პოეტი.

კლუბის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ყველა ფილმი ენახათ, შემდეგ ვმართავდით დისკუსიას, რომლის დროსაც მოსწავლეები წაკითხულ ნაწარმოებსა და გადაღებულ ფილმებს შორის სხვაობას ადარებდნენ. დიდი მოწონება დაიმსახურა ფილმმა „Тарас Бульба“, სადაც ძალიან შთამბეჭდავი იყო ფინალური სცენა.

რუსი პოეტების შემოქმედების გაცნობის შემდეგ, ვმართავდით დეკლამატორთა კონკურსს (ესენინის, პუშკინის, ტიუტჩევის, ფეტის ლექსებზე). კლუბის წევრები, ასევე, კითხულობდნენ ქართულ ენაზე თარგმნილ ლექსებს, ცდილობდნენ თარგმანში ის შესიტყვებები ეპოვათ, რომლებითაც ორიგინალის ავტორები გადმოსცემდნენ საკუთარ განცდებსა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი.

ვფიქრობ, კლუბის საქმიანობამ მოსწავლეებზე პოზიტიური გავლენა მოახდინა და მუშაობა შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, რადგან მოსწავლეებს გაუჩნდათ კითხვის ინტერესი, აუმაღლდათ მოტივაცია და გამოთქვეს სურვილი კიდევ მეტი გაეგოთ რუსულ ლიტერატურაზე, გაეცნოთ ის კლასიკოსები, რომელთა წაკითხვა აუცილებელია თანამედროვე ახალგაზრდისთვის, საკუთარი აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბება რომ შეძლოს. უპირველესად კი, სამომავლოდ, ფ.მ. დოსტოევსკის შემოქმედების გაცნობა დავგეგმეთ.

ყველა იმ საკითხს, რომლებიც გეგმით გვქონდა გათვალისწინებული, მოსწავლეები დიდი ინტერესით ამუშავებდნენ. გათვალისწინებული გვქონდა ის რისკებიც, რომლებიც შეიძლებოდა ხლებოდა საკლუბო მუშაობას, დენის გათიშვის შემთხვევაში გამზადებული მქონდა დაბეჭდილი მასალა, მწერლებისა და პოეტების ბიოგრაფიული მონაცემებისა და ნაწარმოებებიდან, ხოლო დაგეგმილი ფილმის სანახავად გაკვეთილებიდან თავისუფალ სხვა დღეს ვიკრიბებოდით.

რუსული ლიტერატურის მოყვარულთა კლუბმა საშუალება მოგვცა, მოსწავლეები სხვადასხვა სააზროვნო-შემეცნებით აქტივობებში ჩაგვერთო და ეს აქტივობები მოსწავლეთა ინტერესებზე მოგვერგო. ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა. კლუბის თითოეულმა წევრმა საკუთარი თავი წარმოადგინა. მოიფიქრეს და შეარჩიეს კლუბის სახელწოდება და ლოგო. ჩვენს სკოლას წიგნის კითხვის მოყვარულთა კლუბის მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით ვირჩევთ საკითხავ ლიტერატურას. მოსწავლები ირჩევენ როგორც ეპიკურ, ასევე ლირიკულ ნაწარმოებებსაც. წასაკითხი წიგნის შერჩევისას, მართავენ დისკუსიებს ამა თუ იმ მწერლისა და წიგნის ხარისხსა და მნიშვნელობაზე, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეთა ესთეტიკური და პიროვნული განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შერჩეულ ლიტერატურას განვიხილავთ კლუბის საქმიანობისთვის განსაზღვრულ დღესა და საათზე. მოსწავლეები იყენებენ ორმხრივი ჩანაწერის დღიურს, რომელშიც ჩანიშნული აქვთ წაკითხული წიგნის მნიშვნელოვანი მომენტები, განსაკუთრებით რომელმა მონაკვეთმა მიიქცია მათი ყურადღება, რით იყო წიგნი მნიშვნელოვანი, სად და როგორ გამოიყენებენ წიგნიდან მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ცხოვრებაში. ყველაზე მთავარი, რაც საკლუბო მუშაობის მიზანთან გვაახლოებს, ესაა შევაყვაროთ ბავშვებს წიგნის კითხვა. კლუბის ფუნქციონირების მნიშვნელობა და აქტუალობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ნაწარმოების განხილვისას, კლუბში გაერთიანებული მოსწავლეები იწვევენ მეგობრებს, რომ დაესწრონ და მოისმინონ ამა თუ იმ წიგნის განხილვა, მიუხედავად იმისა, წაკითხული აქვთ თუ არა ეს წიგნი. ამით მათ წიგნის წაკითხვის სურვილს ვუღვივებთ და ვაახლოებთ წიგნთან.

ვცდილობთ, კლუბის წევრებს, ისევ კლუბის მუშაობის პროცესში, ავუხსნათ და განვუმარტოთ თითოეული ნაწარმოების არსი. ერთად ვმსჯელობთ ნაწარმოების სიუჟეტზე, ვმუშაობთ ლექსიკური სიძნელეების მოხსნაზე. ვარწმუნებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნაწარმოების წაკითხვა ორიგინალში და მხოლოდ მერე – თარგმანში. ძალიან ბევრჯერ დარწმუნებულან, რომ ქართულად ნათარგმნი რუსული პოეზიის ნიმუშები ტოლს არ უდებს ქართულ შედევრებს, მოსწავლეები დამოუკიდებლად ეძიებენ ჩვენ მიერ კლუბში განხილული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ ფილმებს და თავისუფალ დროს ვნახულობთ მათ, შემდეგ ვმართავთ დისკუსიას, სადაც კლუბის წევრები არგუმენტირებულად აყალიბებენ საკუთარ აზრს.

ხშირად შეიძლება მოსწავლემ ვერ მოახერხოს ნაწარმოების წაკითხვა. ჩვენ მშვიდად ვუხსნით, რომ შესაძლოა ვერ წაიკითხა, რაღაცამ ხელი შეუშალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კლუბში მონაწილეობა არ მიიღოს. შეუძლია მოუსმინოს სხვებს და, გარკვეულ შემთხვევაში, თუკი სურვილი ექნება, გამოთქვას საკუთარი აზრი. ამით იმ რისკ-ფაქტორებს ავიცილებთ, რომლებმაც შეიძლება საკლუბო მუშაობის დროს იჩინოს თავი. მოზარდი უფრო თავდაჯერებული ხდება. მოსწავლეებთან ერთად ვგეგმავთ მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს: ვიცი, გავიგე, მინდა ვიცოდე; გონებრივი იერიში; კითხვა-პასუხი; დისკუსია; პრეზენტაცია; ორმხრივი ჩანაწერის დღიური.

რასაკვირველია, მოსწავლეებს ვეხმარები იდეების ჩამოყალიბებაში. იციან, რომ ერთმანეთს უნდა მოუსმინონ, არ გააკრიტიკონ სხვისი აზრი და პატივი სცენ მას, მხოლოდ საკუთარი მოსაზრება გამოთქვან, კლუბის მუშაობის პროცესში ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილგანწყობილი გარემო უნდა სუფევდეს. ვცდილობ, მოსწავლეებს სასიამოვნო და უსაფრთხო გარემო შევუქმნა, რომ კლუბის საქმიანობა მათთვის პოზიტიური განწყობის შემქმნელი იყოს, რათა რუსული ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი და წიგნის კითხვა მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გახდეს.

ნაწარმოების განხილვისას, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი კლუბის აქტიურ მონაწილეებს, თავიანთი სურვილისა და ინტერესების მიხედვით, ვარჩევინებ იმ თემებს, რომლებიც მათთვის მეტად საინტერესო იყო და იწყებენ მუშაობას შემოქმედებითი კონფერენციისთვის, სადაც თავიანთი ნამუშევრებით წარდგებიან. ეს შეხვედრები მნიშვნელოვანია, რადგანაც მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთს, გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, უფრო კომუნიკაბელურები ხდებიან.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, წიგნის კითხვის შეყვარება საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო პროცესია. რადგან მოსწავლეთა უმრავლესობა არ კითხულობს, ამიტომაც, მეტი ძალისხმევა, შემართება და ახალი გზების ძიება გვჭირდება, რომ მოსწავლე დაუბრუნდეს წიგნს. როგორც კვლევებითაა დადასტურებული, ეს გამოწვეულია მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია კომპიუტერი, ტელეფონი, მაგრამ უნდა შევძლოთ მოსწავლეების წიგნთან უფრო მეტად დაახლოება და წიგნიერების დონის გაუმჯობესება, რათა მათ განუვითარდეთ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრების პირობებში.

ამრიგად, საკლუბო მუშაობა ძალიან გამართლებულია, რადგან მოსწავლე და წიგნი დაუახლოვდა ერთმანეთს, მეტი სარგებელი მიიღეს ერთმანეთთან ურთიერთობით და რაც მთავარია, მოსწავლეებმა დაიწყეს წიგნების კითხვა, წაკითხული ნაწარმოების გაანალიზება და კრიტიკულად შეფასება.

განმავითარებელი კომენტარების შეფასების რუბრიკა ტექსტზე მუშაობის შეფასება

მოსწავლის სახელი, გვარი ..... თარიღი .....

მოსწავლემ შეძლო	არა	ნაწილობრივ	დიახ
ტექსტზე ემუშავა მარკირებით.			
დაესახელებინა ნაწარმოების თემა.			
განესაზღვრა ნაწარმოების დედააზრი.			
შეეფასებინა ესა თუ ის პერსონაჟი ან მოვლენა.			
შეედგინა ნაწარმოების გეგმა.			

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	კარგად	საშუალოდ	სუსტად
ტექსტის გაგება-გააზრება			
ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა			
შემოქმედებითი უნარების განვითარება			
გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება წაკითხულის გასააზრებლად			
პრეზენტაციის უნარების ფლობა			

ირმა კარანაძე
სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის მენტორი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2015;
2. ესგ – ესგ-ს სტანდარტი. მოქმედი ვერსია;
3. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში. 2016;
4. რუსი კლასიკოსები. რჩეული ნაწარმოებები. თბილისი-2005;
5. „Книга для учителя“. Издательство „Артануджи“-2012.

ინფორმაცია

EUA-CDE წლიური შეხვედრა

დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების ყველაზე მასშტაბური და ყოვლისმომცველი ევროპული შეკრება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციისა (EUA) და ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ორდღიან შეხვედრას უმასპინძლა. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) ისტორიაში პირველად ასოციაციის წარმომადგენლების შეხვედრა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში გაიმართა.

ასოციაციის (EUA) წარმომადგენლებმა 20 ქართული უნივერსიტეტის რექტორებსა და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებს ევროპულ უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების კვლევების შედეგები და სამომავლო გეგმები გააცნეს. სადოქტორო განათლების შესახებ გამართულ სემინარებსა და ვორქშოფებში 120-ზე მეტი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა. EUA-CDE წლიური შეხვედრა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების ყველაზე მასშტაბური და ყოვლისმომცველი ევროპული შეკრებაა, რომელიც დოქტორანტურაში მიმდინარე ტენდენციებსა და მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ასოციაციის შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შარვაშიძე** და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ეკატერინე დგებუაძე** დაესწრნენ.

„ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების რექტორები, ვიცე-რექტორები, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები მონაწილეობენ სამდღიან ღონისძიებაში, რომლის მთავარი თემა აკადემიური საქმიანობაა – როგორ გააგრძელონ სამეცნიერო საქმიანობა, როგორ განვითარდეს მათი კარიერა, როგორი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო სივრცეში. საქართველო ამ სივრცის სრულუფლებიანი წევრია. ეს თანამშრომლობა გაგრძელდება. მათ შორის, ვიმედოვნებ, საქართველოში ბევრი უმაღლესი სკოლისთვის მისაღები იქნება სადოქტორო სტრუქტურირებული სკოლის შექმნა,“ – განაცხადა თსუ რექტორმა **გიორგი შარვაშიძემ.**

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს თავმჯდომარის, **მარტინ რაიეს** თქმით, *„ვორქშოპი ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის. სამუშაო შეხვედრა შეეხება როგორც დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე, ზოგადად, უმაღლესი განათლების ამ საფეხურის განვითარებას. ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური საზოგადოებისთვის, ასევე შრომის ბაზრისთვის.“*

„დღევანდელი შეხვედრის მიზანს არ წარმოადგენენ მხოლოდ დოქტორანტურის სტუდენტები, ჩვენ ვსაუბრობთ, ასევე, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებზე, მათ როლზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ განვითარებაში. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი შეხვედრები იქნება ნაყოფიერი როგორც ქართველი, ისე ევროპელი სტუდენტებისთვის,“ – განაცხადა აღმოსავლეთ პიემონტის (იტალია) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის წარმომადგენელმა **ლუიჯი პანზამ.**

EUA-CDE წლიური შეხვედრა ახალი პარტნიორობისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების კიდევ ერთ შესაძლებლობად იქცა.

აშშ საქართველოში 7-მილიონიან საგანმანათლებლო პროექტს იწყებს

ვაშინგტონში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის (P2P) მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს მხრიდან თანათავმჯდომარეობდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე აბულაძე** და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვახტანგ მახარობლიშვილი**. აშშ-ს მხარეს კი წარმოადგენდნენ სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე განათლებისა და კულტურის საქმეთა მიმართულებით **ალიშა ვუდვარდი** და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილის თანაშემწე **ალექსანდერ სოკოლოვსკი**.

სამუშაო ჯგუფის მორიგ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს პროგრესი და ორ ქვეყანას შორის მიმდინარე თანამშრომლობა განიხილეს, განათლების, კულტურის, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. მათ ასევე ისაუბრეს არსებული თანამშრომლობის გაფართოების საჭიროებებსა და შესაბამის გეგმებზე.

საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებში, USAID განახორციელებს კიდევ ერთ მასშტაბურ, 7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების, 5-წლიან პროექტს. პროექტი „Achieving Student-Centered Education for a New Tomorrow (ASCENT)“ გულისხმობს საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, ასევე, საუნივერსიტეტო დონეზე, ისეთი პროგრამების ხელშეწყობას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ USAID საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მთავრობის მიერ პრიორიტეტად გაცხადებული საგანმანათლებლო კომპლექსური რეფორმების პროცესში, რათა საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი, ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება.

პროექტს „Achieving Student-Centered Education for a New Tomorrow (ASCENT)“ ორგანიზაცია Research Triangle Institutes (RTI), სხვა ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, განახორციელებს. ამ პროცესში კი, USAID აქტიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო განათლების პოლიტიკის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფთან.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო Fulbright-ის პროგრამის გაფართოებას. ამერიკული მხარის ინიციატივით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პროექტი „ინგლისური ენის სწავლების ასისტენტი“ (ETA) განხორციელდება, რომლის მიზანია რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა. პროექტი გულისხმობს ინგლისური ენის სწავლებისა და პრაქტიკის საათებში დახმარებას, თანამასწავლებლის – კოლეგის პროფესიულ განვითარებას, ინგლისურის სწავლების კურიკულუმის/პროგრამის შექმნას უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის და, ინტერნაციონალიზაციის გზაზე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური პრაქტიკის გაუმჯობესებას. გაზაფხულზე ხელი მოეწერება შეთანხმებას, რომლის ფარგლებში, Fulbright-ის ახალ პროექტს სსიპ-განათლების საერთაშორისო ცენტრი განახორციელებს. შედეგად, 2020 წლის გაზაფხულიდან, საქართველოს ამერიკიდან Fulbright-ის 10-მდე სტიპენდიანტი ეწვევა, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტში ინგლისურ ენას ასწავლიან.

ვაშინგტონში გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, განიხილეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობისათვის განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი და ის პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო ამ მიმართულებით ახორციელებს. განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** ამერიკელ პარტნიორებს სრული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივების შესახებ განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსში (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი


თამაზ ფასაძე ქართული აბიორგანული პროზა ლიტერატურის მასწავლელთა თვისთვის
4 ლარი


თამაზ ფასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური ზეგავლენი
12 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი


19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)

ტესტები ქართულ ლიტერატურაში ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I V-XVIII სს მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა


15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

სიახლე

8 ლარი

პროფესიული უნარები
300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით

კითხვა-პასუხის კონცეფციაზე აგებული გზამკვლევი დაეხმარება სტუდენტებს, დამწყებ მასწავლებლებს, პრაქტიკოს მასწავლებლებს, განსაკუთრებით გამოცდაზე გამსვლელ მასწავლებლებს მასალის გამეორებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი